საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 171 (2285) | პარასკევი, 23 აგვისტო, 1996 წელი. | ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

იყო მსჯელობა და ტემპერამენტიანი კამათი

საქართველოს მთავრობის 22 აგვისტოს სხდომამ, როგორც ვიუწყებოდით, ნაშუადღევს გააგრძელა მუშაობა და თავისი სიმძაფრით თუ აღემატებოდა, თორემ ნამდვილად არ ჩამორჩებოდა დილანდელს.

ლაპარაკია კამათის სიმძაფრეზე, არგუმენტთა სიმკაცრესა და შეუვალობაზე, ურთიერთგამომრიცხავ პოზიციათა დაპირისპირების დემონსტრაციაზე. ერთხელ კი კამათი, რომელიც ჩვეულებრივ ჭეშმარიტებას ბადებს, კინაღამ დაემსგავსა იმ ნარეცხ წყალს, რომლისთვისაც შეიძლება ბავშვი გადაეყოლებინათ.

მაგრამ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა საღმა აზრმა და კონსენსუსის პოზიტიურობამ, რომელთანაც ზოგჯერ მკაცრად, ზოგჯერ იუმორით, უფრო ხშირად — დარბაისლური მსჯელობით მიიყვანა ედუარდ შევარდნაძემ კეთილშობილურ აფეთქებათა მონაწილენი.

მართალია, ასეთ მხურვალებაზე ზოგიერთი მიმომხილველი გუშინდელ პრესაში ხელის მოთბობას შეეცადა, მაგრამ სხდომაზე გამართულ კამათს, გვერწმუნეთ, არაფერი ჰქონდა საერთო „ძველბიჭურ“ პოზიორობასთან, რომელსაც თითქოს „იჭერდა“ ზოგიერთი მოკამათე პრეზიდენტის წინაშე.

ასეთ რამეს პრეზიდენტს არც და ვერც ვერავინ გაუბედავს.

რახან დაწყნარდა სიტუაცია, მოდით საქინფორმის კორესპონდენტის ედუარდ ელიბერიძის ანგარიში წავიკითხოთ იმ განხილულ საკითხებზე, რომელთა შესახებ „სრ“ გუშინდელ ნომერში ვერაფერი ვთქვით:

სხდომაზე მოისმინეს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის ბაკურ გულუას ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს მისდამი დაქვემდებარებული პურპროდუქტების სისტემის ძირფესვიანი რეფორმის პროცესის ორგანიზებული განხორციელებისა და დროულად დამთავრების სახელმწიფო კომისია. აღინიშნა, რომ ამ კომისიის კარგად მოფიქრებული და მიზანმიმართული მუშაობის მეოხებით წარმატებით განხორციელდა პურის ფასების ლიბერალიზაციის პროგრამა, რომლის მნიშვნელობა, ქვეყნის ახალი კონსტიტუციის მოთხოვნების, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების გათვალისწინებით ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ნინო ჩხობაძის წარდგინებით მთავრობამ განიხილა და მთლიანად მოიწონა პროექტი კანონისა „სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“. იგი განსახილველად წარედგინება ქვეყნის პარლამენტს. როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეს დოკუმენტი სხვა საკანონმდებლო აქტების წინამორბედი გახდება, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს ეროვნული უსაფრთხოების რანგში ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემის აყვანის პრინციპი. განიხილეს აგრეთვე კანონპროექტი „სელექციურ მიღწევათა გამოცდისა და დაცვის შესახებ“. სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი აწესრიგებს სელექციურ მიღწევათა სამართლებრივი დაცვისა და გამოყენების დროს წარმოქმნილ ქონებრივ და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობას.

მთავრობამ მოისმინა ქვეყნის პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, პარლამენტთან მისი ურთიერთობის და საკანონმდებლო საქმიანობის სამსახურის ხელმძღვანელის ჯონი ხეცურიანის ინფორმაცია, რომელშიც საფუძვლიანად იყო გაანალიზებული 1996 წლის პირველ ნახევარში აღმასრულებელი ხელისუფლების კანონშემოქმედებითი საქმიანობის შედეგები და მისი შემდგომი სრულყოფის ამოცანები, განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის ცხოვრების სხვა აქტუალური საკითხები.

ეკონომიკური საბჭოს სხდომა

გუშინ გაიმართა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საკონსულტაციო ეკონომიკური საბჭოს მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე.

ფინანსთა მინისტრმა დავით იაკობიძემ ისაუბრა საქართველოში მეწარმეობის ხელშეწყობის თვალსაზრისით საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ მოქნილი, ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის შემუშავება უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადებულ დოკუმენტში აქცენტი გადატანილია ფინანსური სანქციების შერბილებაზე, საბაჟო განაკვეთების დიფერენცირებასა და საგადასახადო ორგანოების თანამშრომელთა სტიმულირების წესის შეცვლაზე.

პრეზიდენტის თანაშემწემ თემურ ბასილიამ განაცხადა, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს საგადასახადო სისტემის სრულყოფაო. მისივე აზრით, მოგების გადასახადის კანონში ცვლილებების შეტანა ამ ეტაპზე მიზანშეუწონელია. ასევე, ახალი კანონპროექტი დამატებითი ღირებულების გადასახადის შესახებ, გადამუშავებას საჭიროებს.

დაწვრილებით ინფორმაციას ხვალ მოგაწვდით.

ალექსანდრე საკოვის ფოტო.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

1996 წლის 16 აგვისტო ქ. თბილისი

ე. გუგუშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქართული თეატრალური ხელოვნების ისტორიის შესწავლის საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო, პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ეთერ გუგუშვილი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

ნანა ღვინეფაძის წერილი „ვითომ პირველად ვხვდებით ერთმანეთს...“
იხ. მე-3 გვ.

დღის ციტატა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით განხორციელებულმა პურის ფასების ლიბერალიზაციამ საქართველოში უმტკივნეულად ჩაიარა, მაშინ, როდესაც იორდანიაში ამავე პროცესს სოციალური მღელვარება მოჰყვა.

დავით იაკობიძე,
საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

სამეგრელოში ხვდებიან პარლამენტის დელეგაციას

სამეგრელოს რეგიონში გრძელდება საქართველოს პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით.

წალენჯიხის რაიონში ჩაის წარმოებისა და ექსპორტის პრობლემებზე ისაუბრეს სააქციო საზოგადოების „ზღვაის“, „ლიას“ და „მარტინ ბაუერი-კოლხეთის“ ჩაის გადამამუშავებელ ფაბრიკებში.

ზურაბ ჟვანია შეხვდა აფხაზეთიდან დევნილებს, გამოთქვა რწმენა, რომ სულ მალე დევნილები დაუბრუნდებიან მშობლიურ ადგილებს.

სოფელ ლიაში იგი დაესწრო წისქვილკომბინატის გახსნას, რომელიც მოემსახურება წალენჯიხასა და მიმდებარე რაიონებს.

რაიონის გამგეობის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე სერიოზული მსჯელობა გაიმართა ადგილობრივი ბიუჯეტის, რაიონში არსებული ხე-ტყის რესურსის რაციონალურად გამოყენების საკითხებზე. ზურაბ ჟვანიამ ღირსების ორდენი გადასცა წალენჯიხის რაიონის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარეს ვარლამ კვარაცხელიას.

ჩხოროწყუს რაიონში პარლამენტის დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს სოფელ ხაბუმეს ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკა, რომელიც ცნობილ ფირმა „მარტინ-ბაუერთან“ თანამშრომლობს, სოფელ მუხურში დაათვალიერეს მეფუტკრეობის მეურნეობა, რომლის შემდგომი განვითარებისათვის ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით გამოყოფილია 250 000 ლარი.

წალენჯიხასა და ჩხოროწყუში განსახლებულ დევნილებს შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვახტანგ ყოლბაია.

დავა სახელისა გამო

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა პრესკონფერენციაზე 22 აგვისტოს წაიკითხეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება, სადაც გამოხატულია პროტესტი იმის გამო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ბლოკ „თავისუფლების“ სახელით რეგისტრაციაში გატარდა მემარცხენე ცენტრისტული პოლიტიკური ორგანიზაციების დაჯგუფება ვახტანგ რჩეულიშვილის ხელმძღვანელობით. საორგანიზაციო კომიტეტს ასეთი რამ უსამართლოდ მიაჩნია, რადგან მსგავსი სახელწოდება ჰქვია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ გაერთიანებათა საორგანიზაციო კომიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბებულ საარჩევნო ბლოკს, რომელსაც განზრახული აქვს მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივი მმართველობის ორგანოს არჩევნებში.

როსტომ დოლიძე ტერორისტი არ არის

მუშაობა დაასრულა პარლამენტის წევრის არმაზ ახვლედიანის მიერ პარლამენტის წევრ როსტომ დოლიძის მიმართ წამოყენებული ბრალდებისა და მასთან დაკავშირებული სახელმწიფო ორგანოების მოქმედების კანონიერების შემსწავლელმა საქართველოს პარლამენტის დროებითმა კომისიამ.

კომისიის თავმჯდომარემ ანზორ წოწონავამ „იბერიას“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ა. ახვლედიანის მიერ რ. დოლიძის მიმართ წამოყენებული ბრალდება ტერაქტის ჩადენის განზრახვის შესახებ, სინამდვილეს არ შეეფერება და მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს.

შვეულმფრენის გადმოსახედიდან

22-24 აგვისტოს კონფლიქტის ზონაში განლაგებული დსთ სამშვიდობო ძალები უსაფრთხოების ზონაში (გალისა და ზუგდიდის რაიონები) მოაწყობენ სამხედრო წვრთნას შვეულმფრენების გამოყენებით.

მშვიდობით, „თანადგომა“!

„იბერიის“ კორესპონდენტს საქართველოს მოქალაქეთა კავშირის აპარატიდან აცნობეს, რომ ფოთის მერმა ნუგზარ ნადარაიამ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას თანდასწრებით მიმართა განცხადებით ფოთის მოქალაქეთა კავშირს მის რიგებში შესვლის თაობაზე.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ნუგზარ ნადარაია ტოვებს პოლიტიკური ორგანიზაცია „თანადგომის“ ხელმძღვანელის თანამდებობას და მზადაა გაწევრიანდეს სმკ-ში რიგით წევრად. „მე მინდა ვიყო იქ, სადაც იჭედება საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა“, — განაცხადა მან.

პოლიციელები ბანდიტებივით იქცევიან

22 აგვისტოს გალის რაიონის სოფელ გაგიდაში აფხაზმა პოლიციელებმა ჩაატარეს შემოვლა და გაიტაცეს 2 „ბელორუსი“ და 1 „ტ-16“ ტრაქტორი, 2 ავტობუსი და ერთი ჟიგულის მარკის ავტომანქანა.

წინააღმდეგობის გაწევისას აფხაზებმა მძიმედ დაჭრეს სოფლის მკვიდრი გონერ გამახარია, რომელსაც ამჟამად ქუთაისის საავადმყოფოში მკურნალობენ.

შესვი, გაამოს!

7600 ტონა ყურძნის შესყიდვა გადაწყვიტა კახეთში წვეულს მოსკოვის ერთ-ერთმა ფირმამ. მევენახეობის ეს რეგიონი ბოლო ხანს რუს ბიზნესმენთა ყურადღების ობიექტი გახდა. მაგალითად, სააქციო საზოგადოება „აგროსერვისმა“ უკვე შეისყიდა და რუსეთში გაგზავნა 125 ათასი ბოთლი კახური ღვინო. სულ ხუთი მილიონი დოლარის კონტრაქტი გააფორმა. კურგანის ოლქიდან მოვიდა პორტვეინის დიდი პარტიის შესყიდვის მოთხოვნა. მუკუზნისა და შრომის მეურნეობათა ყურძნის მოსავლის ნაწილის შესყიდვას აპირებენ რუსეთის მეღვინეები.

ამ და სხვა ფაქტებმა დღის წესრიგში დააყენეს საკითხი კახეთში, მარცვლეულის ბირჟის მოწყობასთან ერთად, ღვინის ბირჟის გახსნის შესახებ. ამჟამად ამ იდეას სწავლობენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სპეციალისტები.

„ფრანგის ქვეყნები ვნახეო“

გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა ვოკალური გუნდი დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ დაადგა საგასტროლო გზას.

გუნდი წარმატებით გამოვიდა საფრანგეთში გებვილერის მუსიკალურ ფესტივალზე, რომელშიც შვეიცარიის, საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის საგუნდო და საორკესტრო კოლექტივები მონაწილეობდნენ, შვედეთის სამეფო კამერულ ორკესტრთან ერთად გუნდმა შეასრულა პერგოლეზის ცნობილი „სტაბატ-მატერ“, აგრეთვე — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები.

ფესტივალის დირექტორმა მიშელ ვოლოკოვიცკიმ ქართველი მომღერლები საგასტროლოდ საფრანგეთის ქალაქებში მიიწვია.

სტუმრად რედაქციაში

გუშინ რედაქციაში გვეწვია საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მესამე მდივანი მაჯით მოსადეყი. მან ქართველი ჟურნალისტები 13-დან 20 სექტემბრამდე ირანში მიიწვია ამ ქვეყნის უკეთ გასაცნობად და იქაურ კოლეგებთან საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად. ამასთან, სურვილი გამოთქვა, გაღრმავდეს თანამშრომლობა საელჩოსა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას შორის.

სურათზე: მაჯით მოსადეყი რედაქციაში.

მებოცვრეობა „აჭარაში“ და ხანძარი

21 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, სასტუმრო „აჭარაში“ მდებარე რესტორან „აჭარის“ სახურავს ხანძარი გაუჩნდა.

მეხანძრეების ოპერატიული მოქმედების წყალობით, ვინ იცის, მერამდენედ გადაურჩა სასტუმრო „აჭარა“ დაწვას. ამჟამად ცეცხლი გაუჩნდა სხვენში დაგროვილ თივას. როგორც მეხანძრეებმა გაარკვიეს, რომელიღაც მაცხოვრებელს აქ ბოცვრები ჰყოლია მოშენებული.

ევროპის აკადემიის წევრად აირჩიეს

ევროპის ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს თბილისის პედიატრიის ინსტიტუტის პროფესორი ლალი ბრეგვაძე. ამ მაღალი წოდების დამადასტურებელი დიპლომი მას, როგორც ბავშვთა შორის ალერგიული დაავადებების თვალსაჩინო მკვლევარს, გადაეცა სტოკჰოლმის ალერგიულ და კლინიკურ იმუნოლოგთა საერთაშორისო კონგრესზე.

განათლების რეფორმა და „საქართველოს ქალები“

რა კრიტერიუმით შეირჩევა მეათე კლასში მოსწავლეთა ის ოცდაათი პროცენტი, რომელიც სახელმწიფოს ხარჯზე ისწავლის? რა ჰქნას სწავლას მოწყურებულმა იმ მოსწავლემ, რომლის მშობელსაც სწავლის საფასურის გადახდა არ შეუძლია? როგორ ჩატარდება პედაგოგთა ატესტაცია? — ამ და განათლების სისტემის რეფორმიდან გამომდინარე სხვა მრავალ კითხვას გაეცა პასუხი ამას წინათ, განათლების მუშაკებთან შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა საერთაშორისო საზოგადოებაში „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: **პარლამენტის პრესსამსახურმა, საქინფორმმა, სააგენტო „იბერიამ“ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

უკანასკნელ საათს

გამოჯანმრთელებულმა ელცინმა ჯოხი ლებედზე გადატეხა

გუშინ საღამოს ბორის ელცინი, რომელსაც პრესის ცნობებით „გულისა და არტერიების გადანერგვის ოპერაცია“ ელოდა, ტელევიზიით გამოვიდა, პირველი, რაც მან თქვა, ის იყო, რომ იგი არ არის კმაყოფილი ლებედით, ჩეჩნეთში მისი მუშაობით.

რაც შეეხება ჩემს მკურნალობას შვეიცარიაში, — განაცხადა ელცინმა, — მე უცხოეთში გასამგზავრებლად არა მცალია, და თუ შვებულება ავიღე, მას რუსეთში გავატარებ.

ამასობაში კი უშიშროების საბჭოს მდივანმა გროზნოს თავიდან ააცილა უბედურება. როგორც ალექსანდრე ლებედმა თქვა, 48-საათიანი ულტიმატუმი ეს იყო გენერალ პულიკოვსკის უხეირო ხუმრობა. მას მოლაპარაკება ჰქონდა ასლან მასხადოვთან; პირისპირ სამსაათიანი საუბრის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ ქალაქიდან შეზღუდული კონტინგენტის გამოყვანის დაწყებაზე, დაგმეს ყოველგვარი ულტიმატუმი. მასხადოვმა თქვა, რომ მიგნებულია ორმხრივ მისაღები მორიგებანი და დასძინა, რომ ჩეჩნეთი არ აპირებს „რუსეთის საბოლოო დამარცხებას“.

ამ დროს კი გროზნოში უცებ განახლდა ბრძოლები. სეპარატისტთა მრავალრიცხოვანი ძალები მოულოდნელად დაესხნენ თავს 101-ე ბრიგადის მეომრებს, უკვე დაუხოცეს 50-ზე მეტი კაცი და ახლა ალყაში ჰყავთ მოქცეული უსმელ-უჭმელი და უტყვიაწამლოდ დარჩენილი ფედერალები...

ალექსანდრე ლებედმა მასხადოვთან შეხვედრის დასასრულს გააკეთა განცხადება და თქვა, რომ ჯარები გავლენ გროზნოდან, შეიქმნება საერთო კომენდატურა და გუშინდელი მტრები ერთად დაიცავენ ქალაქს. „კონსტიტუციური წესრიგი ავიაციისა და არტილერიის დარტყმებით ვერ დამყარდება“, — დასძინა მან.

ნომრის მორიგე რედაქტორი:

არ გაგვიმწარდება ალალი ლუკმა

წლეულს ივნისიდან პურზე ფიქსირებული ფასები გაუქმდა. ბევრი ელოდა, რომ ეს მოვლენა გაამწვავებდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, „აფეთქებას“ გამოიწვევდა.

ობივატელის მოლოდინი არ გამართლდა.

თურმე შეიძლება ასეთი არაპოპულარული, რადიკალური, სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიების უმტკივნეულოდ განხორციელება, თუ ხელისუფლება, მთავრობა უმკაცრეს კონტროლს დააწესებენ მის მიმდინარეობაზე.

ამ კონტროლისა და ყურადღების ერთ-ერთი ხელშესახები გამოვლინება იყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წ. 11 აგვისტოს ბრძანებულება „თავისუფალი ფასწარმოქმნის პირობებში მოსახლეობის პურითა და პურპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფოებრივი რეგულირების ღონისძიებათა შესახებ“.

და მაინც, როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება პურზე ფასების ლიბერალიზაციის მიმართ, რას ფიქრობს რიგითი მოქალაქე, რომლისთვისაც პური მართლაც „არსობის“ პროდუქტია?

ამაზე საყურადღებო პასუხს იძლევა საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის საზოგადოებრივი აზრის კვლევის განყოფილების (უფროსი — ქ-ნი დოდო ყარაულაშვილი) მიერ ამ დღეებში მოწყობილი გამოკითხვის შედეგები.

გავეცნოთ ამ გამოკვლევის რამდენიმე საგულისხმო მომენტს.

გამოკითხულ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენელ თბილისელთა 79 პროცენტის აზრით, პურზე ფასების განთავისუფლების პროცესი ნორმალურად, ყოვლად გაურთულებლად მიმდინარეობს, 11 პროცენტს პირიქით მიაჩნია, 10 პროცენტს კი უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა.

მათგან, ვინც დარწმუნებულია, რომ პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, 42 პროცენტი მიუთითებს, პური საგრძნობლად არ გაძვირებულაო, 36 პროცენტი, — პურზე რიგები არ არისო, 22 პროცენტი, — პურის დეფიციტი არ იგრძნობაო.

გამოკითხულთა 62 პროცენტი ინფორმირებულია, რომ პურზე ფასების ლიბერალიზაციის პროცესს გამუდმებულ ყურადღებას უთმობს საქართველოს ხელისუფლება, მხოლოდ 12 პროცენტი მიიჩნევს, ხელისუფლებას ეს არ აინტერესებსო, 26 პროცენტმა კი ვერაფერი თქვა ამის თაობაზე.

მოქალაქეები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, პურზე ფასების ლიბერალიზაციის პროცესის მიმართ ხელისუფლების მუდმივ ყურადღებაში, ასე აკონკრეტებენ ამ „ხელისუფლებას“: 77 პროცენტი — პრეზიდენტი და მთავრობა, 23 პროცენტი — პარლამენტი.

დააკონკრეტეს აღმასრულებელი ხელისუფლების ის სტრუქტურებიც, რომლებიც, მათი აზრით, მუდმივად ადევნებენ თვალყურს ამ პროცესის მიმდინარეობას თბილისში: ქალაქის მერია — 59 პროცენტი, ადგილობრივი გამგეობები — 24, სამართალდამცავი სტრუქტურები — 17.

გამოკითხულმა თბილისელებმა მიუთითეს, თუ სად ყიდულობენ პურს ყოველდღიურად: „სახელმწიფო“ მაღაზიებში — 54 პროცენტი, პურის კერძო საცხობებში — 14, „სადაც მოიხდება“ — 14, პურის ქარხნებში — 6, ქუჩაში, ხელზე გამყიდველისგან — 5, სხვადასხვა ჯიხურში — 4, ბაზრებსა და ბაზრობებზე — 3.

64 პროცენტის აზრით, პურზე ფასების „აშვებას“ მნიშვნელოვნად არ უმოქმედია სხვადასხვა სახის საქონლის ღირებულებაზე, 20 პროცენტი პირიქით მიიჩნევს, 16 პროცენტმა ამის თაობაზე არაფერი იცის.

საინტერესოა პასუხები პროგნოზულ კითხვაზე, — „თქვენი აზრით, როგორ განვითარდება პურის ვაჭრობის ორგანიზაციის პროცესი 1996 წლის ბოლომდე?“. 37 პროცენტი მიიჩნევს, შეფერხებები მოსალოდნელი არ არისო, 19 — მოსალოდნელია შეფერხებებიო, 44 — არ ვიციო.

თბილისელები ძირითადად მოელიან შემდეგი სახის შეფერხებებს: პური გაძვირდება (23 პროცენტი), შეიქმნება პურის დეფიციტი (13), მოსალოდნელია რიგები (4), გაუარესდება პურის ხარისხი (27), პურის ცხობა, ენერგოკრიზისის გამო, ზოგჯერ შეფერხდება (33).

რა ზოგადი დასკვნები შეიძლება გამოვიტანოთ ამ გამოკითხვის შედეგებიდან?

პირველი და უმთავრესი ის არის, რომ თბილისელთა აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად აღიქვამს პურზე ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, ხაზს უსვამს, რომ ფიქსირებული ფასების გაუქმებას არ მოჰყოლია პურის დეფიციტი. ოღონდ, ამ პროცესის უარყოფით შედეგად მიჩნეულია უკანასკნელ პერიოდში პურის ხარისხის გაუარესება.

გამოკითხულთა უმრავლესობა ასევე აღნიშნავს, რომ პურზე ფასების განთავისუფლებას სამომხმარებლო ბაზარი მნიშვნელოვნად არ გაუძვირებია, თუმცა აღნიშნავენ საზღვარგარეთიდან შემოტანილი სასურსათო საქონლის გარკვეულ გაძვირებას.

მოსახლეობა, ისევე როგორც ადრე, პურს ძირითადად ყიდულობს ე. წ. „სახელმწიფო“ პურის“ მაღაზიებში, ამავე დროს გაიზარდა კერძო საცხობების კლიენტთა რაოდენობა.

მოსახლეობა ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ პურზე ფასების ლიბერალიზაციის პროცესი და მთლიანად პურის ვაჭრობის ორგანიზაცია საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მუდმივი ყურადღების სფეროა. დადებითად აფასებენ ამ მიმართებით ქ. თბილისის მერიის და ადგილობრივი გამგეობების, აგრეთვე სამართლებრივი სტრუქტურების მუშაობას.

ხალხს გარკვეულწილად უჭირს ოპტიმისტური განწყობილების გამოხატვა წლის ბოლომდე პურით ნორმალური ვაჭრობის ორგანიზაციის მიმართ, ნაწილი კი პურის ცხობაში შეფერხებებს ელის ზამთარში ენერგოკრიზისის გამო, ელიან პურის გაძვირებას და ხარისხის გაუარესებას.

უტყუარია: ხელისუფლება სათანადო დასკვნებს გააკეთებს. მან მშვენივრად უწყის, რაოდენ ძვირფასია თითოეული მოქალაქისათვის „პური ჩვენი არსობისა“.

იმედი ვიქონიოთ, რომ იგი შეეცდება არ გაგვიმწარდეს ალალი ლუკმა.



საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 20 აგვისტო. ქ. თბილისი.

განათლების სფეროში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა და მათთან გათანაბრებულ პირთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ

1. იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების სფეროში დაწყებულ რადიკალურ რეფორმებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება ახალი ქართული სახელმწიფოებრიობის, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობაში. ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლაში. გაიზარდოს განათლების სფეროში დასაქმებულ პროფესორ-მასწავლებელთა და მათთან გათანაბრებულ პირთა შრომის ანაზღაურება. (თანამდებობრივი განაკვეთები და მათი დანამატები) 1996 წლის პირველი სექტემბრიდან 100 პროცენტით.

2. საქართველოს სოციალური დაცვის, შრომისა და დასაქმების სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტროსა და განათლების სამინისტროსთან ერთად, მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე შეიმუშაოს და გამოსცეს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სათანადო მითითებები და განმარტებები.

3. ბრძანებულება ამოქმედდეს „საქართველოს 1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანის შემდეგ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1996 წლის 15 აგვისტო. ქ. თბილისი.

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის აღდგენა - გამაგრების სამუშაოთა შესრულების შესახებ

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ფუნქციონირების შესანარჩუნებლად თეატრის შენობის აღდგენა-გამაგრების სამუშაოების დროულად შესრულება ეროვნული კულტურის კერისა და უნიკალური არქიტექტურული ძეგლის გადარჩენის საქმეა.

ამ მიზნით:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ.იაკობიძე) პრივატიზაციიდან მიღებული თანხებით შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ავარიული შენობის აღდგენა-გამაგრებისათვის წლეულს, აგვისტოდან, პირველი ეტაპის სამუშაოების შესასრულებლად გამოყოს 600 ათასი ლარი.

2. დამკვეთის ფუნქცია დაევალოს შოთა რუსთაველის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექციას (გ.თევზაძე).

3. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრომ (მ.ჩხენკელი) კოორდინაცია გაუწიოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის აღდგენა-გამაგრებით, საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს წლეულს, სექტემბერში, თეატრალური სეზონის გახსნის მიზნით.

4. ქ.თბილისის მერიამ (ბ. შოშიტაიშვილი) უზრუნველყოს მიწისქვეშა სველი კომუნიკაციების საგანგებო რეჟიმი, რათა „საქგვირაბმშენმა“ (ა.ჩალაძე) დროულად და ხარისხიანად შეასრულოს აღდგენითი სამუშაოები თეატრთან გამავალ დაზიანებულ სანიაღვრე კოლექტორზე, მისი შიგნიდან გამაგრებითა და მოპირკეთებით.

5. გაგრძელდეს მაღალკვალიფიციური ორგანიზებული კვლევითი-საძიებო სამუშაოები შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის საბოლოო სეისმური მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ე. შევარდნაძე.

ეროვნული დღესასწაული
ჩვენი ხალხები ისტორიულად ისწრაფვიან ერთმანეთისაკენ

24 აგვისტოს უკრაინელი ხალხი აღნიშნავს თავის პირველ იუბილეს — დამოუკიდებლობის ხუთი წლისთავს.

ჯერ კიდევ 1990 წელს უზენაესმა საბჭომ გამოხატა უკრაინელი ხალხის ნება და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთმა პირველმა მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, 1991 წლის 1 დეკემბერს კი საერთოეროვნულმა რეფერენდუმმა უკანასკნელი ისტორიული წერტილი დასვა ამ საკითხში. ძნელია ასეთი მოვლენის მნიშვნელობის ჯეროვნად შეფასება — ევროპის კონტინენტზე გაჩნდა ახალი სუვერენული სახელმწიფო, რომელიც მოსახლეობის რაოდენობითა და ტერიტორიით ტოლს არ უდებს ევროპის უდიდეს ქვეყნებს. თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების სერიოზულ მკვლევართა აზრით შემთხვევითი არც ის არის, რომ დამოუკიდებელი უკრაინის გაჩენა ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო გეოპოლიტიკური მოვლენა გახდა.

დროის ამ მცირე შუალედში დღევანდელი უკრაინის რეალობად იქცა ის, რომ იგი მკვიდრდება როგორც სახელმწიფო და გარდაიქმნება როგორც საზოგადოება.

ხუთწლეულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა სახელმწიფოში სამოქალაქო მშვიდობისა და სიმშვიდის დაცვა, უკრაინის მთლიანობის შენარჩუნება. ჩვენმა ქვეყანამ მოახერხა თავიდან აეცილებინა პოლიტიკური კრიზისი, შეძლო, რომ იგი არ გადაქცეულიყო აღმასრულებელ და კანონმდებელ ხელისუფლებათა საშიშ დაპირისპირებად, კონფრონტაციად.

კონსტიტუციის დებულებათა ქვაკუთხედი და აზრობრივი ღერძი ის არის, რომ უკრაინა სუვერენული, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, სოციალური, სამართლებრივი სახელმწიფოა.

უკვე 1996 წლის დამდეგისათვის ინფლაცია შემცირდა დაახლოებით 150 პროცენტით ორი წლის წინანდელ 4000-პროცენტიან ჰიპერინფლაციასთან შედარებით. მიმდინარე წლის დამდეგიდან ინფლაციის დონე 9,4 პროცენტიდან 0,1 პროცენტამდე შემცირდა. 32 პროცენტით გაიზარდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა. კერძოდ ეს შესამჩნევია საქართველოს მაგალითითაც: მიმდინარე ნახევარწლეულში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საქონელბრუნვა ჩვენს ქვეყნებს შორის 6-ჯერ გაიზარდა.

ბოლო 60 წლის განმავლობაში უკრაინამ პირველად დაიწყო მარცვლეულის ექსპორტი, რითაც იბრუნებს ევროპის ბეღლის დაკარგულ სტატუსს.

თუმცა, დადებითი ტენდენციების მიუხედავად, ეკონომიკა ჯერ კიდევ ქვეითდება, მაგრამ დამაიმედებელია ის, რომ წინა წლებთან შედარებით, ეს გაცილებით ნელი ტემპით ხდება. და მაინც სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობა 1996 წლის დამდეგისათვის 11,5 პროცენტით შემცირდა, სამომხმარებლო საქონლის წარმოებისა კი — 19,1 პროცენტით.

დღეს შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ ჩვენთან შეიქმნა ეთნოეროვნული პროცესების სახელმწიფო რეგულირების სტრუქტურული სისტემა. იგი შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, შესწევს უნარი უზრუნველყოს ყველა ხალხის სრულფასოვანი აღორძინება და მისცეს მათ ადამიანის საყოველთაოდ მიღებული უფლებების გარანტია.

ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს უკრაინის მთავრობის მიერ დამტკიცებულმა ეროვნულ უმცირესობათა კულტურების კონცეფციამ, რომელიც განხორციელდება შესაბამისი საერთო სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით. მიღებულია აგრეთვე სახელმწიფო პროგრამა „უკრაინის დიასპორა“, საერთო ეროვნული ურთიერთობების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის პროექტი და მისი რეალიზაციის პროგრამა.

განვლილი ხუთწლეულის განმავლობაში უკრაინაში დამთავრდა საგარეო პოლიტიკის სამართლებრივი საფუძვლების ფორმირება, განისაზღვრა გეოპოლიტიკური პრიორიტეტები. ქვეყნის ხელმძღვანელობამ უკრაინის სტრატეგიულ მიზნად დასახა ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურაში და ტრანსატლანტიკური თანამშრომლობის გაღრმავება.

როცა ევროპის საბჭოს წევრი გახდა, უკრაინამ ცხადყო, რომ ისწრაფვის ევროპის ყველა სახელმწიფოსთან ერთად იმოქმედოს ერთ სამართლებრივ ველში, იყოს სამართლებრივი ევროპის ნაწილი.

პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობის საყოველთაო გაღრმავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ჩვენი ქვეყანა არ გადაუხვევს თანამშრომლობის კარდინალური გაღრმავების გეზს, როგორც საერთოდ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნებთან, ისე ამ ავტორიტეტიანი გაერთიანების ყოველ წევრთან.

უკრაინის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულება იყო და კვლავ არის დსთ-ს ქვეყნებთან თანამშრომლობა. ჩვენ თანამიმდევრულად ვუჭერთ მხარს მის ფარგლებში ინტეგრაციული პროცესების განვითარებას, რომლებიც დაემყარება ურთიერთსარგებლობის, თანასწორუფლებიანობის საფუძვლებს, ისე, რომ არანაირად არ შეიზღუდოს მისი არც ერთი მონაწილე და არ შეიქმნას ზეეროვნული სტრუქტურები.

უცვლელი რჩება რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის, თანასწორუფლებიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის ჩვეული გეზი. ჩვენს ქვეყნებს შორის მიმდინარეობს აქტიური და ურთიერთსასარგებლო დიალოგი.

ახლა მთავარია, მივაღწიოთ საბოლოო ნორმალიზაციას, მოვაქციოთ იგი კეთილმეზობლური პარტნიორობის მყარ კალაპოტში, რომელსაც სტრატეგიული განზომილება აქვს და ნაკარნახევია ჩვენი ისტორიით, გეოგრაფიით, კულტურითა და სხვა ფაქტორებით. უნდა გადავწყვიტოთ ძირითადი პოლიტიკური საკითხები, კერძოდ, უზრუნველვყოთ ფართო მასშტაბის ხელშეკრულების დადება, მივაღწიოთ საბოლოოო მორიგებას შავი ზღვის ფლოტის გაყოფის, უკრაინის ტერიტორიაზე მისი რუსული ნაწილის ბაზირების პირობებისა და ვადების შესახებ.

რაც შეეხება უკრაინა-საქართველოს ორმხრივ ურთიერთობას, იგი ეფუძნება პატივისცემას, ურთიერთგაგებას, თანასწორუფლებიანობას და ურთიერთდახმარებას. მტკიცედ გვწამს, რომ ეს ურთიერთობა გაღრმავდება და გაფართოვდება. ამის საწინდარია ჩვენი ქვეყნების ხელმძღვანელთა მუდმივი საქმიანი, ურთიერთსასარგებლო კონტაქტები, სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა, რომელიც თანდათანობით პრაქტიკულად მოიცავს სახელმწიფო, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, ჩვენი ხალხების ერთმანეთისაკენ ისტორიულ სწრაფვას.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის რეალიზაციასაც უკრაინა საქართველოსთან ერთად უახლოეს დროში აპირებს, ეს არის კასპია-ამიერკავკასია-უკრაინა-ბალტიკის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის შექმნა.

დასასრულ, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ უკრაინელმა ხალხმა გააკეთა თავისი არჩევანი, ჩვენ განვსაზღვრეთ შემდგომი განვითარების ორიენტირები. რაც მთავარია, უკვე ვეწევით დიდ, რთულ და ძნელ მუშაობას ახალი ფორმაციის სახელმწიფოსა და საზოგადოების მშენებლობისათვის.

მთავარი ამოცანაა, რომ ეს გზა გავიაროთ სწრაფად, საზოგადოებისა და ყოველი მოქალაქისათვის უმცირესი დანაკარგებით.

ანატოლი კასიანენკო,
უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში

ჩაი-96
ფაბრიკები შეფერხებით მუშაობენ

რესპუბლიკაში ნელი ტემპით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა, რაც სხვადასხვა ხელისშემშლელი მიზეზით არის გამოწვეული.

12 აგვისტოს მონაცემებით სულ მოკრეფილია 21.780 ტონა. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ზუგდიდის, წყალტუბოს, წალენჯიხის, ქობულეთის, ჩხოროწყუს, ხელვაჩაურის რაიონები.

თანხის გადაუხდელობის გამო მეჩაიეობის ზოგიერთ რაიონს მთლიანად გამორთული აქვს ელექტროენერგია, რის გამოც, სათანადო სიმძლავრით ვერ მუშაობენ ჩაის ფაბრიკები და ეს მაშინ, როცა პლანტაციებში მეორე ვეგეტაცია მიმდინარეობს და არსებობს ჩამორჩენის დაძლევის დიდი შესაძლებლობა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გერმანული ფირმა „მარტინ ბაუერის“ საწარმოებს, ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მიუხედავად, გარკვეული შეფერხებებით მიეწოდებათ ელექტროენერგია. რაიონებს ფინანსური სიძნელეები შეექმნათ იმის გამო, რომ პროდუქცია ვერ მზადდება და რაც მზადდება, მისი რეალიზაციაც ჭირს. საჭიროა მკრეფავმა მოკრიფოს, ფაბრიკამ გადაამუშაოს და მიღებული ამონაგებით საწარმო გამართოს, გადაიხადოს ელექტროენერგიის საფასური, საბიუჯეტო შენატანებიც დაფაროს და ეკონომიკურად მომძლავრდეს. ელექტროენერგიის მიუწოდებლობა, მართალია დასჯის ერთ-ერთი მეთოდია, მაგრამ ამით ხომ საქმე მთლიანად ფუჭდება. თუ ელექტროენერგია ექნებათ, მოკრეფილ ნედლეულს გადაამუშავებენ და ფულიც გაჩნდება. მეჩაიეც დროულად მიიღებს ანაზღაურებას.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ბრძანებულების შესაბამისად, შარშან მიღებული ბუნებრივი აირის ვალის დასაფარავად, თურქმენეთს 3500 ტონა მწვანე ბაიხის ჩაი უნდა მიეწოდოს. „საქჩაისუბტროპიკის“ ცნობით, დღეისათვის თურქმენეთში უკვე გადაგზავნილია 1150 ტონა პროდუქცია. არის გარანტია, რომ დავალება წელს მთლიანად შესრულდება.

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა სათანადო ორგანოებმა იზრუნონ მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დროულად ანაზღაურებისათვის, რათა არ განმეორდეს წინა წლების შეცდომები.

ქართულ ჩაიზე მოთხოვნილება ბოლო პერიოდში თანდათან მატულობს. „საქჩაისუბტროპიკს“ მიღებული აქვს შეკვეთები რუსეთის და შუა აზიის ქვეყნების სხვადასხვა ფირმიდან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ჩვენი პროდუქციით.

ამ დღეებში საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის და უზბეკეთის კვების მრეწველობის სამინისტროთა ხელმძღვანელობამ ხელი მოაწერა განზრახულებათა ოქმს საბაზრო ეკონომიკის პირობებში ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებზე. კერძოდ, გაფორმდა კონტრაქტი უზბეკეთში 2000 ტონა ჩაის პროდუქციის მიწოდების შესახებ.

გათვალისწინებულია, რომ 1977 წელს უზბეკეთის სამარყანდის ჩაის გადამწონ ფაბრიკას 5 ათასი ტონა შავი და მწვანე ბაიხის ჩაის პროდუქცია გაეგზავნოს.

უზბეკეთის მხარემ განიხილა აგრეთვე საკითხი ჩაის კონცენტრატების გამოყენებაზე ნატურალური, გამამხნევებელი და გამაგრილებელი სასმელების საწარმოებლად. ამავე დროს დაისვა საკითხი ერთობლივი საწარმოების შესაქმნელად ურთიერთხელსაყრელი პირობების გათვალისწინებით. ამასთან, აღინიშნა, რომ საქართველომ წლეულს გააუმჯობესა ჩაის პროდუქციის ხარისხი და გამოითქვა რწმენა, რომ მომავლისათვის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებაზე კიდევ უფრო მეტს იზრუნებს, რათა დაკმაყოფილდეს უზბეკეთის ბაზრის მოთხოვნილება.

ნაზი იმნაიშვილი.

სულიერება
მატერიალიზმი

რევოლუციამდელი რუსეთის იმპერიაში, რომლის შემადგენლობაში ჩვენი პატარა სამშობლოც შედიოდა, ასევე, ევროპასა და დასავლურ სამყაროში, სიტყვა „მატერიალიზმი“ და „მატერიალისტი“ საგინებელი სიტყვა გახლდათ. „მატერიალისტს“ უწოდებდნენ ისეთ ადამიანს, რომელიც მხოლოდ თავისი მუცლისა და ქვენა გრძნობების დაკმაყოფილებას ესწრაფვოდა და მამონას მსახური იყო.

ამის საპირისპიროდ „იდეალისტი“ ისეთ ადამიანს წარმოადგენდა, რომლის ცხოვრებაც უმაღლესი ღირებულებებით იყო განპირობებული და რომელიც ამაღლებული იდეებისათვის უანგარო თავდადებით გამოირჩეოდა.

რევოლუციის მერე როგორც რუსეთში, ისევე კომუნისტურ აღმოსავლეთში ვითარება შეიცვალა და იმ მეცნიერსა და თვით იმ რიგით მოქალაქეს დიდი უსიამოვნება ელოდა, თუკი მას „იდეალისტობას“ დასწამებდნენ.

კომუნისტურ ქვეყნებში მატერიალიზმის სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანით, იქ წარმოებული რელიგიათა დევნითა და მათი ამოძირკვით, მორწმუნე ქრისტიანისათვის თითქოს ცხადზე უცხადესი უნდა ყოფილიყო, თუ ვის მხარეს უნდა დამდგარიყო იგი მატერიალიზმისა და ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც მის წმიდათაწმიდა საგანძურს ემუქრებოდნენ.

დღეს, როდესაც კომუნისტური რუსული იმპერია დაიშალა და საქართველომ, თუმცა კი ტრაგიკული კოლიზიების გავლით და მისი კუთვნილი ისტორიული ტერიტორიების დაკარგვით (?), მაგრამ მაინც მიაღწია ნანატრ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, თითქოს სულიერი ორიენტირი დასავლური „იდეალიზმისაკენ“ უნდა აიღოს და თითქოს ცდილობს კიდეც დასავლურ ფასეულობათა ათვისებას, მაგრამ უბედურებაც ის გახლავთ, რომ თვით დასავლეთში მატერიალიზმი არათუ დაძლეულია, არამედ მძლავრად არის ფესვგადგმული. ყოველ შემთხვევაში, სიტყვა „მატერიალიზმის“ განსხვავებულმა ხმარებამ დასავლეთში და კომუნისტურ აღმოსავლეთში არ უნდა დაგვაბნიოს. მათი უფრო ახლო გადამოწმება ავლენს მათ საოცარ დამთხვევებს. ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „ფილისტერს მატერიალიზმში ესმის ხეთქვა, სიმთვრალე, გარყვნილება, ავხორცობა და ამპარტავნება, ანგარება, სიხარბე, სიძუნწე, მონაგრება და ბირჟის მაქინაციები, მოკლედ, ყველა ის საზიზღარი მანკი, რომელთაც იგი ჩუმად ხარკს უხდის; ხოლო იდეალიზმს იგი განიხილავს როგორც რწმენას სიკეთისადმი, საყოველთაო კაცთმოყვარეობას და საერთოდ, როგორც უკეთეს სამყაროს, რითაც იგი სხვათა წინაშე ტრაბახობს“. ამგვარად ენგელსი, ისევე როგორც ჩვენ, „მატერიალიზმს“ განიხილავს ნეგატიურ ასპექტში.

ასევე უარყოფდა როგორც „შეუწყნარებელ მატერიალიზმს“ კარლ მარქსი, თუკი ვინმე — როგორც ეს მან თავის მასწავლებელ ჰეგელს უსაყვედურა — არსებული პირობების, მთელი მათი არაადამიანურობით, დაცვასა და გამართლებას დაიწყებდა. ამიტომ იყო, რომ იგი მძაფრად აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომლის გადალახვასაც ლამობდა მისი „უზნეო მატერილიზმის“ გამო, რაც ნიშნავდა ფულის ბატონობას და ადამიანის გადაქცევას გასაყიდ საქონლად.

სწორედ კაპიტალისტური სამყაროს მატერიალიზმის გამო უარყო იგი მარქსმა, ისე რომ, ამ კუთხით მას შეიძლება ანტიმატერიალისტი ეწოდოს.

ასევე შეიძლება ანტიმატერიალიზმზე საუბარი, როდესაც საბჭოთა სკოლა, განსაკუთრებით, სტალინის ეპოქაში, ახალგაზრდებს გარკვეული იდეალიზმისაკენ მოუწოდებდა, ე.ი. მათი გაგებით უმაღლესი ღირებულებებისათვის თავგანწირვას მოითხოვდა მათგან.

ერთი თეოლოგის თქმით, კომუნიზმის შეცდომა ის კი არ არის, რომ იგი მატერიალისტურია, — ბიბლია უფრო მატერიალისტურია, ვიდრე იგი — არამედ სწორედ ის, რომ იგი იდეალისტურია. მას ამით იმის თქმა სურდა, რომ კომუნიზმი საუბრობს და მოქმედებს „ახალი ადამიანის“ იდეალიდან ამოსული, რომელსაც არავითარი ცოდვა არ გააჩნია და ყოველი მანკი და შეცდომა, რაც აქამდე კაცობრიობას ახასიათებდა, მისთვის აღარ არსებობს. ამ „ახალი ადამიანის“ ცხოვრებაში დამკვიდრებას იგი ძალმომრეობით ცდილობდა, რამაც, როგორც ცნობილია, უდიდესი უბედურება მოუტანა კაცობრიობას.

თუნდაც აქედან შეიძლება იმის დანახვა, რომ იდეალიზმი თავისთავად არავითარ სიკეთეს არ წარმოადგენს და თავის იდეალებში შეყვარებულმა ადამიანებმა არანაკლები განსაცდელი მოუტანეს კაცობრიობას, ვიდრე მატერილისტებმა. იდეალისტი ხშირად მოვლენების შეფასებაშიც ცდება. მაგალითად, ისეთი იდეალისტი, როგორიც იყო ფილოსოფოსი ჰეგელი, თავისი ისტორიის ფილოსოფიაში ჯვაროსნების დამცირების მიზნით და მათი მატერიალისტური ბუნების წარმოსაჩენად (რაც სხვა შემთხვევებში შეიძლება მართალიც გახლდათ), ამბობდა, რომ ისინი ეძებდნენ მხოლოდ საფლავს, კუბოს და არა ცოცხალ ქრისტეს! ჰეგელს რომ ეხილა რუსეთის ტელევიზიის ფართოდ გაშუქებული მოვლენა, როდესაც აღდგომის ღამეს მაცხოვრის საფლავთან იერუსალიმში შეკრებილ მლოცველთა სანთლებზე სასწაულებრივ როგორ გადმოდის ცეცხლი, მაშინ იგი ასე აგდებით არ მოიხსენიებდა მაცხოვრის საფლავს (მატერიალურს).

ახლა ისმის კითხვა, თუ რატომ უწოდეს მარქსმა და მისმა მიმდევრებმა თავიანთ მსოფლმხედველობას „მატერიალიზმი“? ძირითადი მიზეზი ამისა გახლდათ ის, რომ მარქსიზმმა შეაჯამა მე-18 საუკუნის განმანათლებლობისა და მე-19 საუკუნის ბუნების მეცნიერებათა მიღწევათა შედეგები და აქედან ის დასკვნა გააკეთა, რომ სული გახლავთ პროდუქტი მატერიისა, რომ ადამიანი წარმოადგენს მაღალგანვითარებულ ცხოველს, რომ სამყარო მარადიულია და მასში ყველაფრის ახსნა შეიძლება კაუზალობის კანონზე დაყრდნობით და ა.შ. მარქსიზმის „მეცნიერებისადმი რწმენის“ პათოსი მთლიანად მე-19 საუკუნეს განეკუთვნება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მარქსიზმმა თეორიული მატერიალიზმის მეშვეობით კარი გაუღო იმ პრაქტიკულ, ეგოისტურ მატერილიზმს, რომლის გამოც იგი ბურჟუაზიულ საზოგადოებას აკრიტიკებდა. სხვაგვარად არც იქნებოდა. როდესაც ადამიანს დაარწმუნებ, რომ მისი სიცოცხლე მოქცეულია მხოლოდ დაბადებასა და სიკვდილს შორის და ცხოვრების აზრი მდგომარეობს მხოლოდ ამქვეყნიურ ბედნიერებაში, მაშინ იგი ყოველივეს მოხვეჭას ლამობს, რაც წარმავალია. ამით აიხსნებოდა საბჭოთა სისტემაში გამეფებული ის კორუფცია და დანაშაულებანი, რომლებმაც თავიანთი ვეებერთელა წვლილი შეიტანეს ამ სისტემის რღვევაში.

ქრისტიანული რწმენა არავითარ „იზმს“ არ წარმოადგენს. იგი არ არის იდეალისტური, როგორც ეს კომუნისტებს ეგონათ და არც მატერიალისტური.

იგი არ არის იდეალისტური, რადგან საკმაოდ ფხიზლად უყურებს ადამიანის ბუნებას და სწამს, რომ ადამიანს თავისი თავის ხსნა რომ შეძლებოდა, მაშინ მის დასახსნელად არ განკაცდებოდა იესო ქრისტე. იგი კიდევ იმიტომ არ არის იდეალისტური, რადგანაც მან უწყის, რომ მატერია, ბუნება და სხეული ბოროტებას არ წარმოადგენს, არამედ ღვთის კეთილი ქმნილებებია.

ქრისტიანული რწმენა არც მატერიალისტურია, რადგან მან ასევე უწყის, რომ სამყარო არ არის მარადიული და ადამიანი ამ სამყაროში მარტოდ არ არის შთაგდებული და ადამიანის ცხოვრების აზრი არაამქვეყნიურია და მას უფრო მაღალი დანიშნულება აქვს ღვთის მიერ.

ახლა ვიკითხოთ, არის კი თანამედროვე დასავლეთი ქრისტიანული? სამწუხაროდ, უბედურებაც ის გახლავთ, რომ თანამედროვე დასავლეთში ყველა ის მანკიერება, რასაც ზემოთ ენგელსი ჩამოთვლის და რომელთაც იმ დროის ფილისტერი „ჩუმად ხარკს უხდიდა“, დღეს საამშკარაოზეა გამოტანილი და დღისით-მზისით ხარკს უხდიან მას.

ეს, განსაკუთრებით, ითქმის თავისუფალი სიყვარულისა და სექსუალური დამახინჯებების დაკანონებაზე, მათ პროპაგანდაზე პრესითა და კინო-ტელევიზიით. ამიტომ არის, რომ დღეს ისლამი მძლავრად აკრიტიკებს დასავლეთს და მის „სულიერ ღირებულებებს“.

ძალაუნებურად გახსენდება ცნობილი რუსი ფილოსოფოსის, ვლადიმირ სოლოვიოვის სიტყვები რომელიც მან დაწერა გასულ საუკუნეში: „მუსლიმანებს, ამგვარად, ჩვენს წინაშე აქვთ ის უპირატესობა, რომ მათი ცხოვრება ეთანხმება მათ რწმენას, რომ ისინი ცხოვრობენ თავიანთი რელიგიის კანონის მიხედვით. ასე რომ, თუმცა მათი რწმენა არაჭეშმარიტია, მაგრამ მათი ცხოვრება ყალბი არაა, რადგან მისი კანონი ერთია და თავის თავთან შეთანხმებული, მათ არა აქვთ ცხოვრების სხვა წესი, გარდა იმისა, რასაც იძლევა მათი რელიგია. მაშინ, როდესაც ჩვენ ვაღიარებთ რწმენის მიხედვით ქრისტიანულ კანონს, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას ვაწყობთ სულ სხვა კანონის მიხედვით, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ წინაქრისტიანულ დროთაგან“.

დღეს რომ სოლოვიოვს ეცხოვრა, ამ ფრაზას კუბში აიყვანდა. ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ რუსეთის პრეზიდენტის ამასწინანდელ არჩევნებში სამღვდელოების გარკვეულმა ნაწილმა კომუნისტებს დაუჭირა მხარი, რადგან მათ დროს ნამდვილად არ იყო ის სულის გამხრწნელი და გამრყვნელი გადაცემები, რომლებსაც დღეს გადმოსცემს რუსეთის ტელევიზია. მაშინ ტელევიზია უმთავრესად მოსაწყენი იყო და ვინ გაბედავდა პორნოგრაფიული ფილმების ჩვენებას, რომელნიც დღეს ასევე მოსაწყენ ჩვეულებრივობად იქცა.

მით უფრო დიდი განსაცდელის წინაშე დგას ჩვენი პატარა სამშობლო იმ თვალსაზრისით, რომ ახლო წარსულში ტოტალიტარული რეჟიმის მარწუხებში მყოფს, დღეს დასავლური „ცივილიზაციიდან“ მრავალი ახალი განსაცდელი გაუჩნდა, რომელთაგანაც მათი აქტუალობის გამო, ორს გამოვყოფდი.

პირველი გახლავთ დასავლური „ცივილიზაციის“ დროშით მოვლენილი წარმღვნელი კლოაკა პორნო-კინოპროდუქციისა. ათეისტური წარსული, რაც რამდენიმე წლის წინათ იყო დაკანონებული ჩვენთან, ამ „პორნოპროდუქციისა“ და ოპიუმის გავრცელებასთან ერთად სრულ დეგენერაციას გამოიწვევს ჩვენს მცირერიცხოვან ერში.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე ერთი მაღაზიის ვიტრინაში ვეებერთელა პორნოგრაფიული ფოტო იყო გამოფენილი. როდესაც აღშფოთებულმა მივმართე ამ მაღაზიაში დახლთან მდგომ ქართველ მანდილოსანს სიტყვებით, — როგორ არ გრცხვენია, ქართველი ქალი ამ ფოტოს გვერდით რომ ვაჭრობ-მეთქი, მან ძალზე ცივად მიპასუხა, განა ჩვენს ტელევიზიას არ უყურებთ და იმ ფილმებს, სადაც უარესს უჩვენებენ?! საუბედუროდ, ეს ქალბატონი დასავლურ კულტურას აიგივებდა ამ ფილმებთან.

რის ვაივაგლახით და პოლიციის (!) ჩარევის შემდეგ ჩამოიღეს ვიტრინიდან ის ფოტო.

ასეთივე ვითარებაა ჩვენს პრესაში, სადაც მომრავლდა ქართულ ენაზე პორნოგრაფიული გაზეთები შესაბამისი ფოტოებით აჭრელებული. ზოგს აწერია: რეგისტრირებულია ისინი სასამართლოს მიერ, ზოგსაც — რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ. როდესაც რეგისტრაციაში ატარებ გაზეთს სახელწოდებით „მეძავი“ ან „ინტიმი“, ხომ უნდა ხვდებოდე, თუ რა შინაარსის იქნება იგი, ან რა ფოტოებით აჭრელებული?

მეორე გარემოება, რომელიც ასევე საგანგაშოდ მიმაჩნია და რომელიც ასევე „დასავლური ცივილიზაციის“ ნაყოფად ეჩვენებათ მათ განმახორციელებლებს, არის პრესის ის „თავისუფლება“, რომელიც ნორმალურ სახელმწიფოში წარმოუდგენელი იქნებოდა.

საქმე ისაა, რომ გარკვეული გაზეთები „თავისუფალი“ პრესის ლოზუნგით აქვეყნებენ ისეთ მასალებს, რომელთა ამოსავალი ისევ და ისევ ეგოისტურ მატერიალიზმში უნდა ვეძებოთ.

საქმე ის არის, რომ გარკვეული „თავისუფალი“ გაზეთები, მკითხველის მიზიდვისა და თავიანთი პროდუქციის გასაღების მიზნით, იაფ გზას დასდგომიან: ყოველნაირად ხელს უწყობენ სამშობლოს ღალატის მუხლით სამართალში მიცემულთა სენსაციური განცხადებების, მათი „გამათეთრებელი საბუთების“, თუ წერილების გამოქვეყნებას. კაცმა ქართველ ჯარისკაცებს ზურგში ესროლა, ათეული მათგანი დახვრიტა, გადამთიელებთან მეგობრობდა და იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, იმ გადამთიელებთან ერთად, რომლებმაც ქართველ ქალებს ახლობლების წინ ნამუსი ახადეს, ორსულები გაფატრეს და ქართველი კაცის თავით ფეხბურთს თამაშობდნენ. დღეს ასეთი სამართალში მიცემული თავისუფლად ინტერვიუს იძლევა, ციხიდან წერილებს აგზავნის, ცრუობს (სხვა რაღა დარჩენია!), ხოლო ესენი კი უბეჭდავენ.

გაზეთებს რომ თავი დავანებოთ, ჩემთვის, როგორც საბჭოთა რეჟიმის ყოფილი პოლიტპატიმრისათვის, რბილად რომ ვთქვა, სრულიად გაუგებარია ისეთი „თავისუფლება“, როდესაც პირის სხლიან მოღალატეს და ბანდიტს საგამოძიებო ციხეში, ანდა სულაც ამ საქმეზე უკვე მსჯავრდებულს, ინტერვიუებს ართმევენ და ა.შ. ის, რაც ასეთი პატიმრების შესახებ შევიტყვეთ პროკურორ ანზორ ბალუაშვილის ვრცელი პუბლიკაციებიდან, ასევე აფხაზეთის ომის ამსახველი იმ დოკუმენტური ფილმებიდან, რომლებსაც ჩვენი ტელევიზია გვიჩვენებდა, კიდევ ენა როგორ უნდა მოუტრიალდეს ვინმეს მათ დასაცავად.

ახლახან ჩვენმა საზოგადოებრიობამ სამართლიანად დაგმო უბადრუკი გაზეთი „ნოე“ და მისი რედაქტორი ებრაელი ერის შეურაცხყოფისათვის. ასეთივე მოპყრობა გვმართებს ქართველი ერის შეურაცხმყოფელი იმ ზოგიერთი გაზეთის მიმართაც, რომელთა რედაქციები საშუალებას აძლევენ ისისინებს მათ ფურცლებზე ქართველთა სისხლით გალეშილი ქვეწარმავლები.

ნუ ავყვებით ეგოისტურ მატერიალიზმს, ნუ შეგვეშინდება, რომ ევროკავშირი პურს არ მოგვცემს „თავისუფალი პრესის“ შეზღუდვისათვის და კანონის ენით ვესაუბროთ მათ.

ვიქტორ რცხილაძე.

შენება — მშენებლის ოცნება!

მსახიობს ტაშით აჯილდოებს მადლიერი მაყურებელი, ექიმის თუ მასწავლებლის, იურისტის თუ ჟურნალისტის პროფესიულ კეთილსინდისიერებას პაციენტები და მოსწავლეები, კლიენტები და ავტორები პირისპირ „მადლობით“ გამოხატავენ. ეს ჯადოსნური სიტყვა ხალისის აღმძვრელია, სიკეთის ქმნის ბიძგია, მაგრამ რამ უნდა შეასხას ფრთა მშენებელს?

მხოლოდ იმ სიხარულმა, რასაც განიცდიან სკოლის ფართო, ნათელ საკლასო ოთახებში მოსწავლეები, დასასვენებელ სახლებში — დამსვენებლები, კეთილმოწყობილ საცხოვრებელ სახლებში — ახალმოსახლენი!

... სამ ათეულ წელზე მეტია უხმაუროდ, თავაუღებლად, თავდაუზოგავად შრომობენ. მათი ვინაობა არავინ იცის, არც უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში გამოვლილმა სტუდენტთა თაობებმა, არც სამხედრო ჰოსპიტალში ჯანმრთელობააღდგენილმა ჯარისკაცებმა. ერთი შეხედვით, განსაკუთრებულს არაფერს აკეთებენ, მაგრამ მათ ანგარიშზეა ასზე მეტი სკოლა და საავადმყოფო, ფაბრიკა-ქარხანა და საცხოვრებელი სახლი, გამაჯანსაღებელი კომპლექსი და კულტურის ობიექტი, კომუნალური და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტი.

მათი ნახელავი ამშვენებს თიანეთს, ახმეტას, დმანისს, თელავს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს, წავკისს, პატარძეულს, ხევსურთსოფელს, ერთი სიტყვით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხე-კუნჭულს.

ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს № 19 მოძრავ-მექანიზებული კოლონის სამმართველომ რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის მიუხედავად შეინარჩუნა როგორც ძირითადი საშუალებები, ისე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ეს კი სამმართველოს უფროსის, სიტყვაძუნწი და ხელუხვი კაცის გონიერებისა და წინდახედულების შედეგია. ომარ მხეიძემ კარგად იცის მესაძირკვლისა და მებათქაშის, ზეინკლისა და დურგლის, ოსტატისა და სამუშაოთა მწარმოებლის სიხარულიცა და გულისტკივილიც, რადგან ოცდაათწლიან გზაზე, ოსტატობიდან — სამმართველოს უფროსობამდე, მათი სიყვარული მეგზურობდა, მათი გამოცდილება აწრთობდა, მათი თანადგომა ასულდგმულებდა.

შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო, — წუხან მშენებლები. უცხოელი სპეციალისტებით „ჩვენებურთა“ გატაცებამ გაგვრიყა, უგულებელყო ჩვენი პოტენციალი, არადა, სამუშაოების შესრულება გაცილებით იაფად და ხარისხიანად შეგვიძლია. იმ დროს, როდესაც ჩვენს ტრანსპორტს „ჟანგი ჭამს“, თურქულ-იაპონურ-ჩინური ტრანსპორტი განუწყვეტლივ დაჰქრისო.

მშენებელი რის მშენებელია, თუ მშენებლობის სურვილი გაუნელდა. ომარ მხეიძე ოცნებობს საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ნავთობისა და გაზის ტრასის, აგრეთვე საკათედრო ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობის მიღებაზე. ეს ოცნება მონოლითური კოლექტივის პროფესიონალიზმს ეფუძნება.

დღეს, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რადგან კერძო სამშენებლო ფირმებს უფრო მეტი უპირატესობა ენიჭება, მათაც განიზრახეს იმ ქონების პრივატიზება, რაც წლების მანძილზე დაულალავი შრომით შეუქმნიათ.

ქონების მართვის სამინისტროს სამართლიანი გადაწყვეტილება მშენებელთათვის იმ ჯადოსნური სიტყვის ტოლფასი იქნება, მადლიერების ნიშნად უხვად რომ აჯილდოვებენ სხვა პროფესიის ადამიანებს.

და მაშინ № 19 მოძრავ-მექანიზებული კოლონის მშენებლები კვლავ აღმართავენ თვალშეუდგამ ხარაჩოებს, კვლავ დაამშვენებენ საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს ლამაზი, თანამედროვე შენობებით, კვლავ დალოცავენ მათ გამრჯე მარჯვენას უცნობი ადამიანები.

მშენებელსაც სხვა რა უნდა!

ლეილა კოშკაძე.

ღირსება

ᲕᲘᲗᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ...

ვითომ... ეს სიტყვა თეატრალურ სამყაროში ისეთივე ბუნებრივია, როგორც ზღაპარში...

ვითომ ვარ მავრი, ან დეზდემონა, ან ზეინაბი, კლეოპატრა, ანდა მედეა...

ვითომ... ყველაფერი ხომ წარმოსახვაზეა დამოკიდებული წარმოდგენაში!

ეთერ გუგუშვილსაც ვითომ პირველად ვხვდები, თუმცა ზამთრის ცივ დღეებში კარგად გავუთბეთ გულები ერთმანეთს საუბრით და გაზაფხულის პირზე დაიბეჭდა კიდეც მისდამი მიძღვნილი პორტრეტი — „მისი ცხოვრება ხელოვნებაში“...

ეს წერილი ქალბატონ ეთერსაც ძალზე მოეწონა და მკითხველსაც (შემეხმიანნენ, მომილოცეს), მაგრამ, თურმე, ერთი რამ უკვირდათ — რატომ არსად ვახსენე მისი რექტორობა!

... როგორ არა, ამის გვერდის ავლა როგორ იქნებოდა და ვახსენე კიდეც, მაგრამ მოგეხსენებათ, გაზეთი პროკრუსტეს სარეცელივით რომ არის — თუ წერილი კაბადონში არ ჩაეტია, მორიგე მოიმარჯვებს „იარაღს“ და სათანადო ზომაზე მოაქცევს ნებისმიერ მასალას...

თორემ...

ბოლო სვეტში, სადაც ვახსენებ მის ახალ ნაშრომს, რომელიც გამომცემელს ანუ კეთილისმყოფელს ელოდება, ეს აბზაცი შეიკვეცა:

— ოცდაექვსი თეატრმცოდნეობითი ნაშრომი — წლების მანძილზე შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორობა და რექტორობა, დღესაც დღეცისმარე ლექციებზე ფიქრი, ახალგაზრდობასთან გულითადი ურთიერთობა და ახალი ამპლუა, — პოეზია!

დიახ, ახალი ამპლუა — გალაკტიონის პოეზიის რუსულ ენაზე ამეტყველებას ვგულისხმობდი.

შარშან, დეკემბერში, შალვა დადიანის სახელობის ხელოვნების მუშაკთა სახლში პოეზიის საღამოც კი გაიმართა — ეთერ გუგუშვილის სტუდენტები და ნასტუდენტარები დედანში კითხულობდნენ გალაკტიონის შედევრებს, ეთერი კი შესატყვისი თარგმანით პასუხობდა.

ამიტომაც ვწერდი მაშინ, თურმე, თეატრმცოდნესაც შეძლებია-მეთქი გარდასახვა.

მაგრამ აქ გავწყვიტეთ ძაფი, ჩვენ ხომ ახლა „პირველად“ ვხვდებით ერთმანეთს და პირველი შეკითხვაც ეს იქნება:

— ქალბატონო ეთერ, როდის დაიწყეთ მოღვაწეობა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში?

პირველი ზარი ამით გამოდგა — დღეს ფერისცვალებაა და ფერისცვალება ხდება ქალაქის კულტურულ ცხოვრებაშიც — ჩვენი საამაყო ბალერინა ნინო ანანიაშვილი ჩამოვიდა რუსეთის დიდი ბალეტის თანავარსკვლავედთან ერთად და ამ კვირას გაგვილამაზებს თბილისელებს თავისი უბადლო ხელოვნებით. ეთერ გუგუშვილი სწორედ ოპერისა და ბალეტის თეატრში იყო რეპეტიციაზე — ბალეტი ხომ მისი დიდი სიყვარულია და რა გასაკვირია, რომ სწორედ ეთერ გუგუშვილია ქართული საბალეტო ხელოვნების გმირის — ასე მინდა მოვიხსენიო საგანგებოდ — ვახტანგ ჭაბუკიანის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი (ჭაბუკიანი — ჭაბუკობა, როგორი დამთხვევაა: სვანურად ჭაბუკობა ხომ გმირობას ნიშნავს).

მაინც ვერ ავცდი „ნაცნობ მოტივებს“...

დიალოგი სასწრაფო საგაზეთო წერილისთვის: — ღვაწლმოსილი ადამიანის ღირსების ორდენით დაჯილდოების გამო!

დიახ, დღეს ფერისცვალებაა და მივულოცოთ ქალბატონ ეთერს ერთიც და მეორეც!

— ახლა კი თქვენ რესპონდენტი, მე კორესპონდენტი:

დავუბრუნდეთ პირველ კითხვას, დანარჩენს კი მერე სიტყვა მოიტანს...

— დავამთავრე თუ არა მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი და ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა, რასაც თითქმის ათი წელიწადი დასჭირდა, მივიღე თბილისიდან მაშინდელი კულტურის მინისტრის ბატონ ავთანდილ გუნიას წინადადება, რათა საქართველოში ჩამოვსულიყავი. იგი მთავაზობდა ხელოვნების მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილის კვერთხს. სხვათა შორის, ასეთივე წინადადება მომცეს მოსკოვშიც, მაგრამ უარი განვაცხადე და სამშობლოსაკენ სიხარულით გამოვეშურე.

ჩამოვედი თუ არა, შემოთავაზებულ ადგილზე დავიწყე მუშაობა. ეს იყო 1954 წელი. ერთი წლის თავზე გადამიყვანეს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო და სამეცნიერო დარგში. მაშინ რექტორი გახლდათ ილია თავაძე და მასთან ვმუშაობდი 1973 წლამდე. ბატონ ილია თავაძის სიკვდილის შემდეგ რექტორად დამნიშნეს.

— კონკურენტი ხომ არ გყოლიათ?

— სხვათა შორის, მაშინ არა (ღიმილით).

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გამომიძახა და რექტორობა შემომთავაზა. რაზეც დავთანხმდი. არასოდეს არ დამავიწყდება მისი რჩევა: — თქვენთვის ეს დანიშვნა არ უნდა იყოს უბრალო გადასვლა ერთი თანამდებობიდან მეორეზე, თქვენ ამ თანამდებობაზე უნდა მიხვიდეთ ახალ ხარისხში!

დღემდე მახსოვს ეს შეგონება და მეც ვცდილობდი გამემართლებინა მისი სიტყვები. მადლიერებით უნდა აღვნიშნო, რომ იგი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა ჩვენი ინსტიტუტისადმი.

იმ ხელოვანთაგან, ვისაც სასოებით ახსენებს, უპირველესია აკაკი ხორავა!

— ის არ ყოფილა ჩემი მასწავლებელი, მაგრამ ის იყო ჩემთვის ღმერთი! ხომ კარგად იცი, რა ადამიანიც იყო...

ვიცი, მახსოვს და მიყვარს...

როცა ერთი პიროვნებისადმი სიყვარული ორმაგდება, ამ გრძნობის ძალით იგი თითქოს და ცოცხლდება. აკაკი ხორავა იყო მოსკოვიდან დაბრუნებული ახალგაზრდა თეატრმცოდნის გეზის მიმცემიც.

კვლავ დასაწყისზე:

ასე რომ, ეთერ გუგუშვილის რექტორობის ხანა 1973 წლის გაზაფხულიდან იწყება. თითქმის 20 წელიწადს უხელმძღვანელა ინსტიტუტს, რომელიც მის ხელში, მისი თაოსნობით გაიზარდა, გაფართოვდა როგორც დარგობრივად, ასევე ტერიტორიულად. კერძოდ, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტს ძირითად 3 სახეობასთან (სამსახიობო, სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის სპეციალობები), შემატა ჯერ მუსიკალური განხრა, შემდეგ კინოფაკულტეტი, სარეჟისორო, კინომცოდნეობა და სასცენო... და არა მარტო ეს! განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო სიახლე: ქალბატონმა ეთერმა თავი დაადგა სანუკვარ ჩანაფიქრს — გაეხსნა ფაკულტეტი დრამატურგიის სპეციალობით, რისთვისაც საგანგებოდ მიიწვია გამოჩენილი მწერალი და დრამატურგი თამაზ ჭილაძე. ეს მოხდა ხუთი წლის წინათ, ასე რომ, წლეულს იყო პირველი გამოშვება.

— კიდევ?

— საბალეტმაისტერო ფაკულტეტიც გვქონდა (ერთი გამოშვება) თვით ვახტანგ ჭაბუკიანის ხელმძღვანელობით; ამ ჯგუფში დაოსტატდნენ ბიჭიკო მონავარდისაშვილი, რეზო წულუკიძე, ლევან ხითარიანი...

— თქვენვე ითავეთ სამეცნიერო-კვლევითი სექტორის დაარსება, რითაც თეატრალურ ინსტიტუტში ფართო გზა მიეცა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

— დიახ, ამ სექტორმა ბევრი სიკეთე მოგვიტანა. მას ხომ ჩვენი თეატრმცოდნეობის პატრიარქი — პროფესორი დიმიტრი ჯანელიძე ხელმძღვანელობდა. აი, ვინ იყო ამ ღირსების ორდენის ღირსი! უპატიოსნესი ადამიანი, რომელიც მხოლოდ თეატრით, მისი წარსულითა და აწმყოთი ცხოვრობდა...

— თეატრალურ ინსტიტუტში ეროვნული ჯგუფი რომ არსებობდა, ესეც ხომ თქვენი თაოსნობა იყო?

— დიახ, მე დავაარსე ჯერ აფხაზური და ოსური სამსახიობო ჯგუფები, მას მერე კი ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან მყავდა სხვადასხვა ნაკადები. ესენი იყვნენ ავარიელები, ყუმიყები, ყარაჩაელები და ჩერქეზები, ინგუშები, ლეკები, ჩრდილოელი ოსები.

სხვათა შორის, ცალკე მიზნობრივ ჯგუფებს ვამზადებდით ინტერვალებით ქუთაისის, ბათუმის, ოზურგეთის, ფოთის, ზუგდიდის, ჭიათურის, გორის, ახალციხის, თელავის, აგრეთვე ცხინვალისა და სოხუმის ქართული თეატრებისათვის.

თითქმის ეს შენაკადი აცოცხლებს დღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხის თეატრებს. სამწუხაროდ, ასეთი პრაქტიკა ინსტიტუტში უკვე აღარ არსებობს. წარმოიდგინეთ, იაკუტებიც კი ლამობდნენ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრას.

— მახსოვს, თქვენი გულისტკივილიანი შეხმიანება საქართველოს გაჭირვების წლებში იმ არაქართველ ახალგაზრდა ხელოვანთა მიმართ, ქართულ თეატრალურ ინსტიტუტში რომ დაფრთიანდნენ.

— დიახ, როცა ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დაიწყო, ღია წერილი გამოვაქვეყნე ჩემი ყოფილი აფხაზი სტუდენტების მიმართ.

და არა მარტო ეს. მე მსურდა აფხაზეთში წასვლა და უშუალოდ მათთან შეხვედრა და საუბარი იმაზე, რაც ამ ოთხი წლის წინათ, 1992 წლის 14 აგვისტოს თავზე დაგვატყდა! ეს სურვილი რომ გამოვთქვი, მითხრეს, ეს შენი საქმე არ არისო!..

არადა, ქართველ ქალს მოგეხსენებათ, ბევრის გაკეთება ძალუძს.

მართლაცდა, ანდაზაც ხომ გვიმოწმებს — ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელ ხარ-კამეჩს გააჩერებსო!..

— თავში ვახსენე, რომ თქვენ ვახტანგ ჭაბუკიანის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი ბრძანდებით. რა კეთდება ამჟამად ამ ცენტრის საკეთილდღეოდ, რას ესწრაფვით?

— ცენტრი სულ ერთი წლისაა, მაგრამ ჯერ ვერ გავშალეთ ფრთები — დღემდე მემკვიდრეობის გაყოფა ვერ მოვახერხეთ — ნათესავები გვებრძოდნენ სამუზეუმო ექსპონატების თაობაზე. საბოლოოდ „გაყრის“ საკითხი ათიოდე დღის წინათ გადაწყდა — მუზეუმს, ცხადია, ბევრი რამ დააკლდა, მაგრამ ვთვლი, რომ ვახტანგ ჭაბუკიანის დიდება ამ ნივთებით როდი გამოიხატება!

— კულტურის სამინისტროს თანადგომითა და უშუალოდ ბატონ ვალერი ასათიანის დახმარებით ვიწყებთ სათანადო მუშაობას და ყველა საორგანიზაციო საკითხი გადაწყვეტილია, ხოლო იანვრიდან იმ თანხებსაც გაიღებენ, რაც აუცილებელია მუზეუმის ასამოქმედებლად.

ცენტრს აქვს ძალიან დიდი გეგმები: გვინდა გავმართოთ საქართველოში ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო საბალეტო კონკურსი. საამისოდ გვაქვს კავშირები იუნესკოსთან და ჩვენს საელჩოსთან საფრანგეთში. ძალიან გვეხმარება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც და ედუარდ შევარდნაძის ფონდი „დემოკრატია და აღორძინება“, რომლის პრეზიდენტია ნუგზარ ფოფხაძე.

ველოდებით პასუხს იუნესკოდან. რაც შეეხება ყოველდღიურ გეგმებს, ამაზე, ალბათ, მომავალში ვისაუბრებთ.

კვლავ ვულოცავთ ქალბატონ ეთერს — ღირსეულ მანდილოსანს, ღირსების ორდენს და დროებით ვემშვიდობებით.

ᲜᲐᲜᲐ ᲦᲕᲘᲜᲘᲤᲐᲫᲔ.

კორუფცია

ᲗᲣ ᲨᲔᲜ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲛᲔ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ...

კარგა ხნის წინათ რამდენიმე თანამდებობის პირს კორუფციაზე ვთხოვე ინტერვიუ. უარი მითხრეს. ეს გავიხსენე იმ დღეს გენერალური პროკურორის მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილთან შეხვედრისას და შევეკითხე — როგორ ფიქრობთ, მათი უარი სიმართლის თქმის შიშის ბრალი იყო თუ ამ თემაზე საუბრის მორალური უფლება არა აქვთ-მეთქი. ჩვეული პირდაპირობით მიპასუხა:

— არ ვიცი, ვის თხოვეთ ინტერვიუ, ამიტომ ვერაფერს გეტყვით. ისე ეს საკითხი, თვითონ მათთან უნდა გაგერკვიათ. შესაძლოა ზოგს მართლაც ეშინოდეს, ხომ იცით სიმართლის მთქმელი მაინცდამაინც გულზე არავის ეხატება. ინტერვიუ გაქნილი მექრთამისა და კორუმპირებულისთვის უნდა გეთხოვათ. იმათ არაფრის ეშინიათ, არც ერიდებათ. ინტერვიუსაც იძლევიან, პრესკონფერენციასაც მართავენ და ყველაზე მეტსაც გაჰკივიან, კორუფციას უნდა ვებრძოლოთ, ქვეყანა გველუპებაო.

კორუფციაზე მკაცრი საუბარი, ძალიან კარგია, მაგრამ სიტყვას საქმეც უნდა მოჰყვეს. მოხსნილი ხალხის ლანძღვა და მხილება იოლია, მოქმედი, გამაძღარი, გამდიდრებული და გათავხედებული მექრთამის გამოაშკარავება და მხილებაა ძნელი. სულ ახლახან, მთავრობის გაფართოებული სხდომის შემდეგ, რომელზეც საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად თქვა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაზე, საკმაოდ საეჭვო რეპუტაციის ხალხი დაინიშნა მაღალ თანამდებობებზე. ალბათ, ხვალ და ზეგაც დაინიშნებიან, რადგან ხელისუფლებაში თუ ხელისუფლების ახლო-მახლო, სარფიანი თანამდებობის მოლოდინში, ჯერ კიდევ ბევრი თაღლითი და ნაძირალა ტრიალებს.

მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე პრეზიდენტმა თქვა კორუფციასთან ბრძოლა მაღალი ეშელონებიდან უნდა დაიწყოსო და მათ შორის პრეზიდენტის სამსახური, სახელმწიფო კანცელარია და პარლამენტი დაასახელა. ასეთ ეშელონებში კორუმპირებულები და მექრთამეები რანაირადღა ხვდებიან?

— ეგ მეც დიდი ხანია მაწუხებს, მაგრამ დამაჯერებელი პასუხი ვერ მოვუნახე. ერთ რამეს კი ვამჩნევ. მექრთამეები პატიოსან ხალხზე უფრო კონსოლიდირებულნი არიან. ერთიმეორეს მფარველობენ, გზას უკაფავენ, ცრუ ინფორმაციას აწვდიან იმათ, ვინც წყვეტს თანამდებობაზე დანიშვნასა და დაწინაურებას. ზოგჯერ დამნიშნავებიც იტყუებენ თუ იბრიყვებენ თავს, ყველასთვის საოცარ და მოულოდნელ საკადრო გადაწყვეტილებებს იღებენ. რასაკვირველია, ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანად მუშაობს ნათესაობის, ნაცნობობის, პირადი ერთგულებისა და მორჩილების ფაქტორიც.

— უპატიოსნო ხალხის თანამდებობაზე დანიშვნისათვის პასუხისმგებლობა თუ ეკისრება ვინმეს?

— არავის. მაღალ თანამდებობაზე დამნიშნავებმა რა პრივილეგიები და შეღავათები არ დაიწესეს თავიანთთვის, პასუხისმგებლობა კი დაავიწყდათ. მე თუ მკითხავთ, ყველაზე მძიმე დანაშაულად, თუ გნებავთ, სამშობლოს ღალატად უნდა ითვლებოდეს ცნობილი მექრთამისა თუ სხვა საეჭვო რეპუტაციის მქონე პირის თანამდებობაზე წამოყვანება და დანიშვნა. ახლა, არ მკითხოთ, როგორ დავადგინოთ ვინ რა სახელისა და რეპუტაციისაა. დადგენა არ უნდა ამას, ყველამ შესანიშნავად იცის, ვინ რას წარმოადგენს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ იცის, გაიკითხოს და გაიგებს. რაზე არ ტარდება დღეს სოციოლოგიური გამოკითხვები და რატომ არ შეიძლება თანამდებობაზე დანიშვნამდე გამოკითხონ კანდიდატის კოლეგები, თამშრომლები, მეზობლები; ის ხალხი, ვისთანაც მას უხდებოდა თუ მომავალში მოუხდება ცხოვრება და საქმიანობა? რატომ აქვთ წესიერი და პატიოსანი კაცის სახელი რევაზ შავიშვილს, ნუგზარ საჯაიას, გურამ გვეტაძეს, თემურ შაშიაშვილს, სანდრო კავსაძეს, როლანდ გილიგაშვილსა და ბევრ სხვას? ისინიც ხომ ისეთ სამსახურებს ხელმძღვანელობენ, სადაც ძალიან დიდია რეპუტაციის შელახვის საფრთხეცა და ცდუნებაც? როგორ შეიძლება და რატომ უნდა ეკავოს თანამდებობა იმას, ვისაც მექრთამის სახელი აქვს, ვისი კეთილსინდისიერებაც საეჭვოდაა გამხდარი? უპატიოსნესი ქალი ყოფილა კეისრის მეუღლე, მაგრამ როდესაც ჭორიკანებს ხმები დაუყრიათ და მისი პატიოსნება საეჭვო გამხდარა, ქმარი დაუყოვნებლივ გასცილებია, კეისრის ცოლის პატიოსნება საეჭვოც არ უნდა იყოსო, უთქვამს.

— ხომ შეიძლება კეისრის ცოლივით რომელიმე თანამდებობის პირზეც ტყუილად დადიოდეს ხმები?

— საქართველოში იმდენი მტერი და მოშურნე, ალბათ, არავის ჰყავს, როგორც ჩვენს პრეზიდენტს, მაგრამ არავის უთქვამს და რომ თქვას კიდეც, არავინ დაიჯერებს, რომ იგი ანგარებიანი კაცია. იქნებ გგონიათ, ამ რანგის თანამდებობის პირი არ შეიძლება იყოს მექრთამე და კორუმპირებული? პერუს პრეზიდენტი მექრთამეობისთვის დაპატიმრებას გაქცევით გადაურჩა. იძებნება მექსიკის პრეზიდენტი, რომელსაც კორუფცია და სიყალბეების ჩადენა ბრალდება, ასეთივე მდგომარეობაშია ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი, რომელიც ექვსი მილიონი დოლარის სახელმწიფო სახსრების მითვისებაში იმხილება. კორუფციისა და სხვა მძიმე დანაშაულისათვის ახლახან გაასამართლეს და სასჯელის უმაღლესი ზომა შეუფარდეს სამხრეთ კორეის ყოფილ პრეზიდენტს.

— მაინც რა გვიშლის ხელს? რატომ ვერ ამოვძირკვეთ კორუფცია და მექრთამეობა?

— გაცნობიერებული არა გვაქვს კორუფციის მასშტაბები და საშიშროება. ზოგიერთმა თანამდებობის პირმა კორუფცია კომერციაში აურია და აღებ-მიცემობა ცხოვრებისა და საქმიანობის ნორმად გაიხადა. სახელმწიფო ხელისუფლებაში მთელი დარგებია კორუმპირებული, ლეგალიზებული, კორუფციის სისტემებია შექმნილი. კორუფციის ბრჭყალებშია ადამიანი დაბადებიდან კუბოს კარამდე და ჩვენ რაღაც უფლებებსა და თავისუფლებებზე ვლაპარაკობთ. ეს თუ არ დავინახეთ და არ ვაღიარეთ, ამის თქმას თუ დემაგოგია და პროვოკაცია დავარქვით, მაშინ არ გვცოდნია რას ვებრძვით და რას უნდა ვებრძოლოთ. მართლა ხომ არავის ჰგონია, რომ საბჭოთა იმპერია გორბაჩოვისა თუ ელცინის გარემოცვამ დაამხო? საბჭოთა, რომისა და დღემდე არსებული ყველა იმპერია კორუფციამ, მექრთამეობამ, მმართველი ელიტის, სახელმწიფო ჩინოვნიკების გადაგვარებამ და გათახსირებამ დაამხო. იმპერიული რეჟიმი თუ ვერ უძლის და ვერ ერევა ამ უბედურებას, წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნება დემოკრატიული წყლობილება, ქვეყანა, რომელმაც კორუფციისა და ძარცვა-გლეჯის აყვავების პირობებში დაიწყო სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, კანონისა და მართლმსაჯულების უზენაესობის დამკიდრება.

— აბა, არ ყოფილა ჩვენი საშველი და ეგ არის.

— საშველი როგორ არ არის. პრეზიდენტმა სწორად მოხაზა ორიენტირები. დავიწყოთ ზედა ეშელონების გასუფთავება და ყველაფერს ეშველება. უწყების ხელმძღვანელი თუ პატიოსანია, იქ კორუფცია ფრთებს ვერ გაშლის, სისტემად ვერ ჩამოყალიბდება რაიონში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები პატიოსნები არიან.

— ხშირად იტყვიან, უქნარა და უნდილ პატიოსანს კორუმპირებული და საქმიანი ხელმძღვანელი ჯობიაო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ნათქვამს?

— ხელმძღვანელი არც უქნარა, არც უნდილი და არც კორუმპირებული არ უნდა იყოს. როგორ შეიძლება ხელმძღვანელი იყოს მექრთამე, რომელიც ვაჭრობს თავისი თანამდებობით, სახელს უტეხს სახელმწიფოს ავტორიტეტს. რა უნდა ხელისუფლებაში იმას, ვინც ჩალის ფასად ხელში ჩაიგდო მილიონებად ღირებული სახელმწიფო ქონება, ქუჩაში გამოყარა და ულუკმაპუროდ დატოვა ასობით ადამიანი?

ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი და გვახარა, სახელმწიფო ქონების სამოცდაათი პროცენტი უკვე პრივატიზებულიაო. ის აღარ უთქვამს, ამ პრივატიზაციით ბიუჯეტში მხოლოდ ოცდაათ მილიონ ლარამდე რომ შემოვიდა. ეს არის პრივატიზაცია? ეს თანხაა საქართველოს სახელმწიფო ქონების სამოცდაათი პროცენტის ღირებულება? ამ თანხით ხომ ერთი საშუალო ქარხნის მოწყობილობასაც ვერ ვიყიდით და რამდენი ასეთი ქარხანა და ფაბრიკაა გასხვისებული?

კომუნისტების დროს ფერმებისა და ვენახების დათვალიერება ეწყობოდა. რატომ არ შეიძლება მთავრობის ან პარლამენტის ავტორიტეტულმა კომისიამ მოახდინოს პრივატიზებული ქარხნების, ფაბრიკების, რესტორნების, მაღაზიების, ფერმების, ბაზრებისა და სხვა ობიექტების დათვალიერება? ნახოს ვის ხელშია და რა დღეშია ეს „პრივატიზებული“ ქონება, ვინ და როგორ დაეპატრონა მას?

პროკურატურას კონსტიტუციის დონეზე აუკრძალეს ამ ფუნქციის განხორციელება. დანაშაული თუ არაა ჩადენილი, ფეხი არსად არ შედგათ, ხელს უშლით დემოკრატიული პროცესების განვითარებას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასო. კანონი თუ სადმე ირღვევა, არის სასამართლო და დაინტერესებულმა მხარემ იქ მიმართოსო. ვინ მიმართავს სასამართლოს, როცა ყველას კანონის დარღვევა აძლევს ხელს? ყველა ხელს ითბობს სახელმწიფოს ხარჯზე. მარტო დანაშაულის ჩადენით ირღვევა სახელმწიფოს ინტერესები? სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომითი თუ სხვა სამართლებრივი დელიქტების დროს კი არ ირღვევა ეს ინტერესები? ვინ წარმოადგენს და ვინ დაიცავს ამ ინტერესებს სასამართლოში? დაპატიმრებული ყაჩაღისა და ბანდიტის წინააღმდეგ უჭირს დაზარალებულს ჩვენების მიცემა და იგი სასამართლოში წავა და დაწესებულების ხელმძღვანელს თუ მინისტრს უჩივლებს ჩემი უფლებები შელახაო? ან ყველამ იცის თავისი უფლებები, და ყველას შეუძლია ამ უფლებებისათვის სასამართლოში სიარული?..

— კანონმდებლობაში რა მდგომარეობაა, კორუფციასთან ბრძოლას კანონიც ხომ არ უშლის ხელს? როგორც ამას წინათ მოვისმინე, კანონით კორუფციის ცნებაც კი არაა განსაზღვრული.

— კორუფციის ცნება კანონით არაა განსაზღვრული და არცაა ეს აუცილებელი რაც განსაზღვრულია, ჯერ იმას მივხედოთ. მოვსპოთ მექრთამეობა, თანამდებობის ანგარებით გამოყენება და მოისპობა კორუფცია. ეს ტერმინი ამ ბოლო დროს გაჩნდა, მექრთამეობასთან შედარებით უფრო ცივილიზებულად ჟღერს. ერთ დროს გამოძალვასა და ყაჩაღობას რეკეტი და პიკეტი დავარქვით, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. კორუფცია იგივეა, რაც ორგანიზებული მექრთამეობა. თვითონ სიტყვა ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს მოსყიდვას, მოქრთამვას.

სრულყოფილი კანონი ჯერ არსად შეუქმნიათ. რასაკვირველია, მექრთამეობის წინააღმდეგ მოქმედი კანონმდებლობის დახვეწა და სრულყოფაც შეიძლება, მაგრამ დღეს ეს არაა მთავარი. მთავარია ავამოქმედოთ და სწორად გამოვიყენოთ არსებული კანონმდებლობა. წლეულს მექრთამეობის მხოლოდ ორი საქმე წარიმართა სასამართლოში. აბა, რა კანონზე და რა ბრძოლაზეა ლაპარაკი?

— კორუფციასა და მექრთამეობაზე ეკონომიკური მდგომარეობა, უდაოდ, მოქმედებს. თანამდებობის პირი, რომელსაც თვეში 30 ლარი აქვს ხელფასი, ბუნებრივია, აიღებს ქრთამს.

— რასაკვირველია, ეკონომიური მდგომარეობა მექრთამეობაზეც მოქმედებს და ბევრ სხვა დანაშაულზეც. დიდი ილია ამბობდა, ავკაცობის თავიდათავი მიზეზი, ეკონომიური ულონობა იყო და იქნება მუდამო. სახელმწიფო უნდა ინახავდეს თავის ჩინოვნიკებს, მორალური უფლება უნდა ჰქონდეს, მოთხოვოს მათ პატიოსანი შრომა და ცხოვრება, მაგრამ მძიმე ეკონომიკური პირობებისა და მცირე ხელფასების გამო მექრთამეობის გამართლება არ შეიძლება. კორუფციას ყველა შემთხვევაში უნდა ვებრძოლოთ. მუშნი ზარანდიასი არ იყოს, ისეთი ჯამაგირი არ არსებობს, კაცს რომ ეყოს. სახელმწიფო სამსახურში მყოფ თანამდებობის პირს ხელფასი თუ არ ჰყოფნის, მექრთამეობა კი არ უნდა დაიწყოს, უნდა მონახოს ისეთი საქმე, სადაც ბევრ ფულს იშოვის და თანაც ისე, რომ არვინ გაკიცხავს. ღვთის მადლით, ასეთი ადგილები და სამუშაოებიც არსებობს. უბედურება ისაა, რომ ყველას კაბინეტიანი, მთავრობის ტელეფონიანი და მანქანიანი ადგილი უნდა, თორემ გაიხედეთ, ჩვენი მინდვრების ნახევარზე მეტი დაუმუშავებელია, წარმოება, ფაქტობრივად, გაჩერებულია. გაზაფხულზე რომ ყველას თოხი და ბარი აგველო ხელში, შემოდგომაზე ჩვენზე მდიდარი ქვეყანა არ იქნებოდა. როდემდის შეიძლება ვიყოთ უცხოური კრედიტებისა და ინვესტიციების იმედით? რაღაც ჩვენც ხომ უნდა შევქმნათ? ჩვენი მიწა-წყლის პატრონს რა გვჭირს სხვისი სამათხოვრო და სამოწყალო?

— კეთილი, ბატონო ალექსანდრე! მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი მაინც ის არის, თქვენ რომ იცით, მე რომ ვიცი, ყველამ რომ იცის და თქმას მაინც ვერიდებით, მაგის იმედი აქვთ სწორედ იმ კორუმპირებულთაც, თორემ... რომ იცოდნენ: თქვენ იტყვით, მე ვიტყვი და ყველა იტყვის, კახელებისა არ იყოს, მაშინ ველარ გაჯეჯილდებოდნენ.

— კორუმპირებულთა მხილებას ჩემი და თქვენი თქმა არ უშველის. ამით ვერც შევარცხვენთ, ვერც გავაწითლებთ. მათი მხილება და პასუხისგებაში მიცემაა საჭირო კონკრეტული დანაშაულისათვის. პიროვნულად თუ არავის ვასახელებ, ამას სიმხდალით ნუ ახსნით. იურისტი ვარ და ამდენად ვალდებული უდანაშაულობის პრეზუმფციასაც ვცე პატივი და მხოლოდ მტკიცებულებებით ვიმსჯელო, თორემ ვაჟასი არ იყოს: „რამდენი ავსული ვიცი, წარბშეუხრელად დადიან“.

ესაუბრა
ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ.

გულისწყრომა

ᲐᲕᲡᲐ ᲙᲐᲪᲡᲐ ᲐᲕᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ...

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ აღშფოთებული კაცი მოვიდა. მე-11 ბრიგადის საბრძოლო მომზადების ოფიცრის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალერის კარლო მამუჩაშვილის გულისწყრომის მიზეზი თავისუფალი პრესა გამხდარა.

— ლანძღვა-გინების ნიაღვარმა წალეკა გაზეთები, ყოველნაირად ცდილობენ პრეზიდენტის ღირსების შელახვას, რაც უმძიმეს დანაშაულად მიმაჩნიაო, წუხდა და გაზეთ „ახალ კარაბადინში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტ ზ.მიქატაძის წერილს („ჯერ არ დამთავრებულა ბოლო წუთი, მთავარსარდალო“) გულისტკივილით გვიკითხავდა. — ამ წერილის შემდეგ ჟურნალისტებს როგორღა გავიკარებ, ნახეთ რა სიცრუე წერია: თითქოს მე მეთქვას „როდესაც აფხაზეთი ცეცხლის ალში იყო გახვეული, ედუარდ შევარდნაძემ მიატოვა იქაურობა და თბილისში დაბრუნდა“. არადა, მე ხომ ჩემი თვალით ვნახე ყველაფერი, მოწინააღმდეგის შემოტევებისა და მასირებული დაბომბვების დროს ბოლომდე როგორ შეუდრეკლად იდგა. გენერალ-მაიორ ვალერი ქვარაიას წინამძღოლობით სოხუმის სხვადასხვა უბანში მოწინააღმდეგის შესაჩერებლად შემართულ მებრძოლებს სახელმწიფოს მეთაური გვერდიდან არ გვცილდებოდა.

ვის აძლევს ხელს პრეზიდენტის შეურაცხყოფა, ვის სჭირდება ასეთი ცილისწამება?

ოფიცერს წუწუნი არ სჩვევია, მაგრამ გული სტკივა, რომ გაზეთის ფურცლებზე მისი საპირისპირო პორტრეტი წარმოაჩინეს.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა გოგნებულები, აღშფოთებულები გვეკითხებიან: რა სიამოვნებას ჰგვრის ჟურნალისტს სინამდვილის მრუდე სარკეში ასახვა, რესპონდენტის ნააზრევის დამახინჯება?

ᲚᲐᲚᲘ ᲕᲔᲤᲮᲕᲐᲫᲔ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჟირინოვსკი შვებულებას სადამ ჰუსეინთან ატარებს

ვლადიმერ ჟირინოვსკი კვლავ ჩაფრინდა ბაღდადში. ამ ბოლო დროს ერაყის დედაქალაქი გახდა ერთ-ერთი მსოფლიოს იმ ორ ქალაქთაგანი, სადაც ლიბერალ-დემოკრატთა ბელადი განსაკუთრებით ხშირად და სიამოვნებით ჩადის ხოლმე. მეორეა სტრასბურგი, სადაც წელიწადში ოთხჯერ მიმდინარეობს ევროპის საბჭოს საპარლამენტო სესია. მაგრამ იქ ჟირინოვსკი სამუშაოდ დადის, ბაღდადში კი ისვენებს.

გამონაკლისი არც ეს ვიზიტი გამხდარა. „იურისტის ძე" ერაყს გაემგზავრა სადამ ჰუსეინის მიპატიჟებით, რომელმაც ჟირინოვსკის უწოდა „მეგობარი კუბოს კარამდე".

უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, რომ ასეთი ტიტული მოეხვეჭა, კერძოდ, მხარი დაუჭირა სადამ ჰუსეინის აგრესიას ქუვეითის წინააღმდეგ, გააფთრებით გაილაშქრა სპარსეთის ყურეში დასავლელი მოკავშირეების საომარი ოპერაციების დასაგმობად, გამართა „შერემეტიევოს" აეროპორტში სპექტაკლი სახელწოდებით „მოხალისენი მებრძოლი ერაყის დასახმარებლად მიემგზავრებიან". თუმცა მერე გამოირკვა, რომ „ჟირინოვსკის არწივებიდან" არც ერთი არ აპირებდა ბაღდადში გაფრენას.

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ არც ახლა უღალატა საკუთარ თავს. ის იყო, ფეხი დადგა ერაყის მიწა-წყალზე, რომ მაშინვე ინტერვიუ მისცა ИНА-ს სააგენტოს და გაეროს სანქციებს უწოდა „ველური დანაშაული ერაყელი ხალხის წინააღმდეგ", დღეგრძელობა უსურვა რუსეთ-ერაყის მეგობრობას.

ცეცხლსასროლი იარაღს დანა ურჩევნიათ

ნიუ-იორკის დამნაშავეთა სამყაროში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება ცივი იარაღი. როგორც აღმოჩნდა, 1994 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც პოლიციამ ფართო შეტევა წამოიწყო ცეცხლსასროლი იარაღის წინააღმდეგ, დამბაჩებს და რევოლვერებს სულ უფრო იშვიათად იყენებენ დანაშაულობათა ჩასადენად და მათს ადგილს იკავებენ დანები, ხელკეტები, კასტეტები და იაპონელი ნინძების სასროლი „ვარსკვლავები". მაგალითად, თუ 1993 წელს ნიუ-იორკში მკვლელობათა 75 პროცენტი ცეცხლსასროლი იარაღის მეშვეობით მოხდა, 1995 წელს ეს ციფრი 68 პროცენტამდე შემცირდა. ეს იმის შედეგია, რომ გამკაცრდა კანონები ცეცხლსასროლი იარაღის ტარების შესახებ. მაგალითად, დამბაჩის უნებართვო ტარებისათვის დამრღვევს შეიძლება მიესაჯოს პატიმრობა 15 წლამდე ვადით, მაშინ, როდესაც დანის ტარებისათვის სულ ერთ წლამდე ციხე ან 300 დოლარი ჯარიმაა გათვალისწინებული.

პოლონელები „იზრდებიან"

პოლონეთის საზოგადოება „კლასობრივია ბიოლოგიური თვალსაზრისით", ასეთი დასკვნა გამოიტანეს პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის სპეციალისტებმა. მათ შეისწავლეს ჯარში უკანასკნელი გაწვევის მონაცემები და დაადგინეს, რომ საშუალო სტატისტიკური პოლონელი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე 6 სანტიმეტრით გაიზარდა — მისი სიმაღლე 170,2 სმ-ს შეადგენს. უფრო მეტიც, ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ პოლონელთა „ბიოლოგიური რეზერვები" ჯერ არ არის ამოწურული, და მათი ზრდა კვლავ გრძელდება, სკანდინავებისაგან განსხვავებით.

მაგრამ მეცნიერთა შეშფოთებას იწვევს მნიშვნელოვანი განსხვავება ქალაქისა და სოფლის ახალგაზრდობის ფიზიკურ მაჩვენებლებში. ისინი ამტკიცებენ, რომ სოფლის მცხოვრებნი გაცილებით უფრო დაბლები არიან, ქალაქელებთან შედარებით.

ლინგვისტური ომი

კვებეკში ძლიერდება ლინგვისტური ომი, რომლის ეპიცენტრი გახდა მრავალმილიონიანი მონრეალი, სადაც მრავლად ცხოვრობენ ინგლისურენოვანი კანადელები. ყველაფერი დაიწყო ელემენტარული პროვოკაციით. ადგილობრივ საავადმყოფოში დააწვინეს ფრანგულენოვანი კანადელი ჟურნალისტი. როდესაც მან დაადგინა, რომ ერთ-ერთ მედდას უჭირდა ფრანგულად ლაპარაკი, ავადმყოფმა მოითხოვა, რომ მას სწორედ ფრანგულ ენაზე ელაპარაკა. საბოლოოდ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ჟურნალისტმა საავადმყოფოს ადმინისტრაციას დისკრიმინაცია დააბრალა. ახლა უკვე რამდენიმე დღეა, საავადმყოფოსთან დემონსტრაციები მიმდინარეობს, მოდიან ფრანგულენოვანი კანადელები და მოითხოვენ: „ფრანგულენოვან პროვინციაში ჩვენ მშობლიურ ენაზე უნდა გვემსახურებოდნენო". მოდიან ინგლისურენოვანებიც, რომლებიც ფრანგებს ფაშისტებს უწოდებენ. ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია „ლინგვისტური ომისა", რომელიც ფართოდ გასცდა კვებეკის ფარგლებს. მაგალითად, შაბათ-კვირას კანადის დედაქალაქ ოტავის დიდ მაღაზიებში დადიან ფრანგულენოვან კანადელთა ჯგუფები, რომლებიც კვებეკის ეროვნულ დროშას აფრიალებენ, და მოითხოვენ, რომ მაღაზიების მფლობელებმა გამოაკრან ფრანგული აბრები, ვინაიდან, კანადაში ორი ოფიციალური ენაა — ინგლისური და ფრანგული. რას ერჩი?!

ვინ ვისი საკბილოა...

მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ბევერლის მცხოვრებნი მამა-შვილი ბირარელები თავიანთი 13-მეტრიანი კატარღით წყალში დაგებულ ბადეებს ათვალიერებდნენ და ნახეს, რომ ერთ-ერთი დიდი გაჭირვებით ამოდიოდა. როდესაც ბადე მაინც ამოსწიეს, მებადურებმა უზარმაზარი დასისხლიანებული ზვიგენი დაინახეს. მამა-შვილის ბედად, მათ ბადეში მოხვედრილი კაციჭამია ზვიგენი უკვე მომკვდარიყო, თორემ ძნელი სათქმელია, ვინ ვისი საკბილო გახდებოდა — მტაცებლის სიგრძე შეადგენდა 5,5 მეტრს, წონა — 1 ტონაზე მეტს, თან კუჭში 14-კილოგრამიანი დელფინი უპოვეს.

ახლა სპეციალისტები ცდილობენ დაამშვიდონ პლაჟების დამსვენებლები, რომ საშიში არაფერია, და ბირარელების ნადავლი თეთრი ზვიგენი სრულიად შემთხვევით მოხვდა ამ წყლებში.

ჩეჩნები კონტრზომებს იღებენ

შეიარაღებული ჩეჩნური ოპოზიციის მთავარი შტაბის უფროსმა ასლან მასხადოვმა ბრძანება გასცა დაიწყოს მზადება „ნულოვანი ვარიანტის" ოპერაციის მეორე ეტაპისათვის, რომელიც დაუყოვნებლივ ამოქმედდება, თუ ფედერალური ჯარები „უკან არ წაიღებენ გამოცხადებულ ულტიმატუმს". ოპერაციის პირველი ეტაპის ამოცანაა მიაყენონ ფედერალურ მხარეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მაქსიმალური დანაკლისი.

სეპარატისტები გროზნოს შტურმს უპასუხებენ აგრეთვე ტერორისტული აქტებითა და დივერსიებით ჩეჩნეთის მოსაზღვრე დაღესტანში. და — არა მარტო იმიერკავკასიაში. კერძოდ, ბოევიკების ერთ-ერთი რაზმი უკვე იმყოფება ჩეჩნეთიდან ისეთ დაშორებულ რეგიონში, როგორიც არის ზღვისპირეთი. ვლადივოსტოკში შემოღებულია უსაფრთხოების გაძლიერებული ღონისძიებები, მიმდინარეობს ბოევიკების ძებნა.

გროზნოში კი ბოევიკები განაგრძობენ იმ ადამიანებზე ნადირობას, რომლებიც „შავ სიებში" ჰყავთ შეყვანილი. ოთხშაბათ დილით დახვრიტეს 67 გროზნოელი მილიციელი, მოკლეს გროზნოს ადმინისტრაციის მეთაურის მოადგილე, დეპუტატი, ტაშტამიროვი, ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დირექტორი საიდოვი, საქალაქო ფინგანის უფროსი ხამაზხანოვი;

ლებედს უბრძანეს: შენ აუზში ჩახტი, წყალს მერე ჩვენ ჩაგისხამთო



როგორც ცნობილია, ბორის ელცინმა ალექსანდრე ლებედს დაავალა „აღედგინა გროზნოში მართლწესრიგის უზრუნველყოფის სისტემა", ანუ დაებრუნებინა ჩეჩნეთის დედაქალაქი ზავგაევის მთავრობის კონტროლისათვის. ამოცანა აშკარად შეუსრულებელია უარმიო გენერლისათვის. მაგრამ სწორედ ასეთი პასუხი გასცა პრეზიდენტმა თავნება ლებედის ულტიმატუმს.

ცნობილია, რომ ბორის ელცინს არ ესმის ულტიმატუმის ენა. იგი ჩვეულებრივ უსმენს, რას მოითხოვს მისგან ოპონენტი, მერე კი ყველაფერს პირიქით აკეთებს. ასე რომ, გენერალმა სულ ტყუილად წაუყენა პრეზიდენტს ულტიმატუმი.

ჩეჩნეთში მეორე ვიზიტის დროს ალექსანდრე ლებედმა ასლან მასხადოვისაგან მიიღო დოკუმენტები, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებს ფრიად მაღალი თანამდებობის მოსკოველი მოხელეების მომავალს. სწორედ ამ დოკუმენტების გამო განაცხადა ლებედმა, ჩეჩნეთის ომი „შეკვეთილი და კომერციულიაო". და ისიც დასძინა, რომ სათითაოდ დაასახელებდა მის ავტორებსა და სულისჩამდგმელებს. მაგრამ დაასახელა რატომღაც მხოლოდ ერთი — შს მინისტრი ანატოლი კულიკოვი, თანაც სულ სხვა მიზეზით. ბრალად დასდო კულიკოვს, რომ მან არ შეასრულა პრეზიდენტის ბრძანებულება სარდლობა გაეწია ჩეჩნეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის ჯარების მთელი დაჯგუფებისათვის. ეს იყო და ეს. დაკვირვებულ ჟურნალისტებს არ გამოჰპარვიათ, რომ ერთია პრეზიდენტის ბრძანების შეუსრულებლობა და სულ სხვაა — „შეკვეთილი და კომერციული" ომის ორგანიზაცია, რომ ანატოლი კულიკოვი — ეს არ არის „ყველა სულისჩამდგმელის სახელი", და ბოლოს, შინაგან საქმეთა მინისტრი სულაც არ არის ის ფიგურა, რომ მისი მეშვეობით ახსნა კავკასიის ომის კრიმინალური ხასიათი. როგორც ჩანს, ალექსანდრე ლებედმა გზაშივე გადაიფიქრა მხილებებით აღსავსე დიდი სენსაციის გამჟღავნება.

აქ ყურადღება უნდა მივაპყროთ ერთ დეტალს: ჩეჩნეთიდან დაბრუნებული ალექსანდრე ლებედი მიიჩქარის არა კრემლში, პრეზიდენტთან, რომ მოახსენოს ყველაფერი, როგორც წინათ ყოფილა, არამედ ჟურნალისტებთან პრესკონფერენციაზე, ანუ გენერალი არ ჩქარობს ბორის ელცინს დაუდოს მაგიდაზე მოპოვებული მასალები, რათა „მის ხელში იყოს სათითაოდ ჩამოთვლილი კორუმპირებული მოხელეების სული", — იგი ცდილობს წამოიწყოს საკუთარი პოლიტიკური თამაში.

არსებობს გენერლის ამ პოლიტიკური მანევრის მხოლოდ ერთი გონივრული ახსნა: ლებედს არ სჯერა, რომ პრეზიდენტ ელცინს შეუძლია (ან სურს) შეცვალოს სიტუაცია ჩეჩნეთში, ამიტომ ახსენდება რა, რომ მის ზურგს უკან დგას 10 მილიონზე მეტი ამომრჩეველი, პრეზიდენტს მიმართავს ტელეეკრანიდან და მთელ მსოფლიოს მოიხმობს თავისი მშვიდობისმყოფლობის მოწმედ.

ეტყობა, ალექსანდრე ლებედი მოქმედებს იმ გეგმით, რომლის თანახმად საჭიროა საზოგადოებრივ აზრს ეცნობოს, რომ იგი უარმიო გენერალია და მიუხედავად იმისა, რომ მთავარსარდალმა სრულუფლებიანი წარმომადგენლის სტატუსი მიანიჭა, მას მაინც არ აქვს უფლება მისცეს ბრძანება ჩეჩნეთის არმიის დაჯგუფებას.

ისე ჰგავს, რომ ალექსანდრე ლებედმა მხოლოდ ახლა აღმოაჩინა: ჩეჩნეთის ომის მიზეზი სულ სხვაა, ძაღლის თავი სულ სხვაგან ყოფილა ჩამარხული, არა იქ, სადაც ეძებდნენ. საზოგადოებრივი აზრი დიდი ხნის მანძილზე უკავშირებდა ჩეჩნეთის ავანტიურას უხილავი „ომის პარტიის" მოქმედებას, რომლის წევრობაზეც ეჭვმიტანილი იყვნენ პავლე გრაჩოვი, ვიქტორ ერინი, ოლეგ სოსკოვეცი, ალექსანდრე კორჟაკოვი, მიხეილ ბარსუკოვი და ნიკოლოზ ეგოროვი. ახლა ისინი ყველანი გადამდგარი არიან, ომი კი გრძელდება...

კრემლში ამოსვლის დასაწყისშივე ალექსანდრე ლებედმა გააკეთა ერთი ფრიად წინდაუხედავი განცხადება, კერძოდ, ჟურნალ „შპიგელის" კორესპონდენტს უთხრა, რომ მას აქვს დიდი შანსი დადგეს რუსეთის პრეზიდენტად 2000 წელზე უფრო ადრე. გასაგებია, რომ ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ელცინი ვერ შეასრულებს პრეზიდენტის ფუნქციებს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. დღეს, როდესაც ყველას პირზე აკერია პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, კრემლელი ანალიტიკოსები უკვე მკითხაობენ, ვის უფრო მეტი შანსი აქვს გახდეს რუსეთის შემდეგი პრეზიდენტი.

არ არის გამორიცხული, რომ ლებედმა, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა ახლოს ენახა პრეზიდენტი, უკვე გამოიტანა სათანადო დასკვნები და დაიწყო თავისი ახალი საარჩევნო კამპანია. ამ კონტექსტით მისი ულტიმატუმი, რა თქმა უნდა, ცინიკურია, მაგრამ სულაც არ არის ისეთი უგუნური, როგორიც ერთი შეხედვით გვეჩვენება.

ალექსანდრე ლებედს საუცხოოდ ესმის, რომ მისი პოლიტიკური ბედი ჩეჩნეთის ომის სასწორზეა შეგდებული. ესმით ეს მის ოპონენტებსაც, რომლებიც დღეს ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა როგორმე მოაცილონ თავნება გენერალი კრემლს. სწორედ ამიტომ წამოიწყეს მთელი ეს „განუსაზღვრელი რწმუნებების" მინიჭება უშიშროების საბჭოს მდივნისათვის: უარმიო გენერალი მოისროლეს ჩეჩნეთში, როგორც ცარიელ აუზში, და უთხრეს: შენ იცურავე, წყალს კი მერე ჩაგისხამთო.

აი, ჩეჩნეთის ომის დღევანდელი ფორმულა: ფედერალური ძალები ომობენ არა სეპარატისტების წინააღმდეგ, არამედ იმისათვის, რომ ლებედმა ვერ ჩაიგდოს ხელში კავკასიის დამშოშმინებლის გვირგვინი. ვიღაცამ აამოქმედა მართლაც სატანური გეგმა საიმისოდ, რომ საბოლოოდ ჩამოაშორონ უშიშროების საბჭოს მდივანი პოლიტიკურ ასპარეზს. ჯერ იყო და, ვითომ გამიჯნეს რწმუნებები: ლებედს — მოლაპარაკება, კულიკოვს — ლაშქარი. მერე ჩეჩნეთის ჯარების დაჯგუფების სარდლის თანამდებობიდან შვებულებაში გაუშვეს ლებედის ძველი ნაცნობი გენერალი **ტიხომიროვი და მის ადგილზე დანიშნეს კონსტანტინე პულიკოვსკი, გენერალი, რომლის ჩეჩნეთის ომთან ახლოს გაკარებაც არ შეიძლებოდა. საქმე ის არის, რომ პულიკოვსკის ამ ომში შვილი მოუკლეს და ყოველგვარი ლაპარაკი მშვიდობაზე მისთვის ეს არის შვილის ხსოვნის ღალატი.** და აქ უკვე შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ სწორედ ფედერალური ჯარები არღვევენ დღეს სეპარატისტებთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეულ იმ პირვანდელ მორიგებებს, რომლებზეც ლებედმა შეიპირა ჩეჩენი საველე მეთაურები.

ახლა პრეზიდენტი ლებედისაგან მოითხოვს, რომ მან „მოსკოვისა და ნაზრანის მორიგებათა გასავითარებლად მშვიდობიანი გზით" დაუბრუნოს გროზნო დოკუ ზავგაევის ხელმძღვანელობას. გენერალი პულიკოვსკი კი იერიშზე გადადის და იწყებს ჩეჩნეთის დედაქალაქის შტურმს „მთელი არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით". გენერალი პულიკოვსკი გაშმაგებულია. იგი მზად არის გადააქციოს გროზნო გერნიკად, ოღონდ თავიდან აიცილოს ლებედის ხელით მორთმეული სამარცხვინო ზავი. ჩეჩნეთის ომის ახალ რაუნდს, ალბათ, მოჰყვება ომის ახალი რაუნდი მოსკოვშიც. გენერალი ლებედი ომს გამოუცხადებს სნეულ პრეზიდენტ ელცინს.

„იზვესტია"
21/VIII. 96 წ.

ხიდები

ირანისტები ირანში

ახლახან ქართველ ირანისტ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა 37-კაციანმა ჯგუფმა ერთი თვით სტაჟირება გაიარა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, კერძოდ, ისჰაანის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ეს იყო ირანში ქართველი ირანისტების პირველი გასვლა ამ სახით.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა ირანსა და საქართველოს შორის პირდაპირი კავშირის დამყარება, ამ ორი მეზობელი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან კულტურულ ურთიერთობაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო, ეტაპი კეთილმეზობლობისა, მეგობრობისა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისა.

ქართველ ირანისტებს, სამწუხაროდ, დღემდე საშუალება არ ჰქონდათ ჩასულიყვნენ ირანში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ თითო-ოროლა ცალკეულ შემთხვევას), მოესმინათ ირანელ პროფესორ-მასწავლებელთათვის, დაახლოებოდნენ ირანელ ხალხს, სპარსულად ელაპარაკათ მათთან, გასცნობოდნენ ირანის ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რომლებიც მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურს წარმოადგენდნენ.

ირანის მხარის ძალისხმევით ერთი თვის მანძილზე შეგვექმნა ყველა პირობები ცოდნის გაღრმავებისა და კულტურული დასვენებისათვის. პროგრამით გათვალისწინებული იყო თითქმის ყველა ნიუანსი, რათა მაქსიმალურად ნაყოფიერი ყოფილიყო ჩვენთვის ირანში გატარებული ყოველი წუთი.

სტუმრებს მასპინძლობას გვიწევდა ისჰაანის უნივერსიტეტის თანამშრომელთა ერთი ჯგუფი, უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განყოფილების ხელმძღვანელის პროფესორ მეჰდი ჯაფარზადეს ხელმძღვანელობით. თითოეული მათგანის ქცევასა და სიტყვაში იგრძნობოდა, რომ ისინი გვეპყრობოდნენ არა მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ გულწრფელი ადამიანური სითბოთი და პატივისცემით.

ის, რაც ირანელმა მასპინძლებმა გამოამჟღავნეს ჩვენს მიმართ, მართლაც რომ ჭეშმარიტი სტუმართმასპინძლობა იყო.

ნოდარ ბართაია,
ირანისტი, მწერალი.

„საქართველოს რეს
ლიკის" რედაქცია, გ
თის გამომცემელი
[illegible]
[illegible]
მოამაგეს, აქტიურ მ
დამჭერსა და მკითხვ
ბატონ
აპოლონ (ჯაბ
წულაიას
და უსურვებენ ჯანმრ
ლობას, დღეგრძელობ
წარმატებებს ოჯახისა
ქვეყნის საკეთილდღეო

გახსენება

ბესო მურუსიძე

ზღაპარივით აეწყო ბესო მურუსიძის ცხოვრება, 27 წლისამ მოასწრო სითბოსა და სიხარულის დათესვა, პატივისცემა და კაცური კაცის სახელი დაიგდო, კარგი შვილობა კარგი მამობით გაალამაზა, ოჯახი შექმნა და თვალხატულა თამუნიათი და მარიამით გაიხალისა ცხოვრება.

შემდეგ კი... სამშობლოს დასჭირდა მისი სამსახური, თანაც სიკვდილ-სიცოცხლის საზღვარზე მყოფი სამსახური. უკან არ დაუხევია. იარაღით ხელში ასურეთის 10 თანამოძმესთან ერთად იბრძოდა მიხო მორჩილაძის რაზმში ლაბრაში, ბესლახუბში, რაღუშში, ტამიშში და სხვაგან და სხვაგან, ყველგან იმარჯვებდა სიკვდილზე.

იმ უბედურ დღესაც 1993 წლის 22 სექტემბერს სოხუმში გაფრინდა ასურეთელ თანამოძმესთან ერთად. არ დასცალდა მის თვითმფრინავს დანიშნულების ადგილამდე მისვლა. აფხაზმა სეპარატისტებმა ჰაერშივე ააფეთქეს იგი.

მესამე წელიწადია ცრემლად იღვენთება სევდა. 23 აგვისტოს გლოვით აღნიშნავს სანათესავო ბესო მურუსიძის 30 წლისთავს.

იქნებ სხვა ზღაპარივით კეთილად დასრულდეს ეს ზღაპარიც და ცოცხალი დაგვიბრუნდეს ოჯახს.

ჩვენ მაინც, როგორც ცოცხალს, ისე აღვნიშნავთ ბესოს დაბადების დღეს.

მურუსიძეების ოჯახი.

გიორგი ბადრიაშვილი

ჩემო საყვარელო და ლამაზო მამიკო! 23 აგვისტოს ორი წელი ხდება, რაც აღარ გვესმის შენი ხალისიანი ხუმრობა, აღარ გტკივა გული ამდენი გლახაკის შემხედვარე და აღარც თვალი გევსება ცრემლით, ამდენ გაჭირვებულს როგორ გავწვდეო.

ეჰ, — ამოიოხრებდი და თან ამოაყოლებდი შენი სულის ნაწილს. ყოვლისშემძლე განგებას ვევედრები, სალბუნი დასდოს შენს ბავშვივით სუფთა გულს და დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა, ჩემო მამა! ძალიან, ძალიან მენატრები! ხან ისეთი საშინელი უმწეობის გრძნობა მიპყრობს, რომ დარდისგან აღარ ვიცი, რა ვქნა, — სად გამიქრი ასე უცებ?! სად გაუჩინარდი, ჩემო მამიკო! მშვიდობით იქ შეხვედრამდე, სადაც სიკვდილი არ არსებობს!

შენ სულ ჩემთან ხარ, ჩემს ხსოვნაში, ჩემს გულში, ჩემო ლამაზო და დაუვიწყარო მამიკო!

შენი შვილი მერი.

გახსენება

ლადო გახოკიძე

ორმოცი დღე გავიდა ჩვენი დიდი მეგობრის ლადო გახოკიძის გარდაცვალებიდან. გვაკლია მისი წმინდა ადამიანური სითბო და მუდამ სამეგობროდ გადაშლილი გული. რას ვიზამთ, ზოგჯერ აუნაზღაურებელი დანაკლისის შეჩერება სამწუხაროდ შეუძლებელი ყოფილა, ვინაიდან ბუნების კანონი ზედმიწევნით მკაცრი და შეუქცევადია. მაგრამ, არის ადამიანთა იშვიათი სახე და განსაკუთრებული კატეგორია, რო ლებიც ბუნების მიერ ნაბოძები ნიჭითა და შინაგანი ინტელექტით ამ სიკეთესა და სიყვარულს თესავენ, რომ ახლობლებისა და მეგობრე ხსოვნაში მარად რჩებიან. ლადო გახოკიძე ასეთ ადამიანთა კატეგორ კლასიკური განსახიერება იყო.

ჩვენი საყვარელი ლადო თავისი კაცური კაცობით, შეგნებითა და ტელექტით ყოველთვის გამოირჩეოდა საზოგადოებაში. მისი დღ ლი, მაგრამ ნაღვლიანად მომღიმარი კეთილი სახე მუდამ მიგვანიშნებ ახლობლებისა და მეგობრებისადმი მზრუნველობაზე. იგი არ ცხოვრობ მარტო თავისი პირადი ცხოვრებით, ყოველთვის აინტერესებდა სამშ ლოსა და ხალხის ბედი. რა პოსტზეც უნდა ყოფილიყო, თავისი მო ლეობას ქვეყნისა და ხალხის წინაშე კეთილსინდისიერად და პირნათ ასრულებდა.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი დიდი ადამიანი, მაღალი ზნეობის, ვმდაბალი, უდიდესი კულტურის მქონე პიროვნება, რომელმაც ქვეყ დაუტოვა პატიოსანი ოჯახი, სამაგალითო შვილები და შვილიშვილე

წავიდა ჩვენგან ჩვენი ძვირფასი ლადო, „სახითა ნათლითა, პირი მართლითა შეურცხვენლად". ნათელში ამყოფოს ღმერთმა.

მეგობრებ

მერი ქოიავ

აი, 40 დღეც გავიდა, დედა... როგორ გვენა რება შენს ქმარ-შვილს, შვილიშვილებს, ახლ ბლებს შენი სითბო, შენი ღიმილი და განუმეორ ბელი იუმორი... იგი ენით არჩენდა ავადმყოფ — ამბობენ შენი მეგობრები და კოლეგები — ყ ფილი მე-4 სამმართველოს თანამშრომლები... ყ ლას გული დასწყვიტე, ძვირფასო...

რა უნდა ვქნათ... ვეცდებით შენი ქალობა არ შევარცხვინოთ, ნათ ლში იყავი მარადის!...

ოჯახ

ბინები, აგარაკები

ვყიდი ოროთახიან, ჩეხური პროექტის გასარემონტებელ კუთხის ბინას მეტრო სამედიცინო ინსტიტუტთან, ტაშკენტის, № 18-ში. ბინა არის მე-6 სართულზე, აქვს სარდაფი და მანქანის დასაყენებელი ადგილი. ფასი 25 ათასი დოლარი. ტელ: 37-60-46 ან 37-52-96.

ვყიდი ან ვაქირავებ (მხოლოდ ერთი გოგონასათვის) ოროთახიან, ლოჯიან ბინას ტელეფონით. ბინა მესამე სართულზეა. მისამართი: ყიფიანის 7 (მთაწმინდა) ტელ. 99-09-49, ნაზიკო.

ვყიდი 2-ოთახიან იზოლირებულ ბინას რვასართულიანი სახლის მე-5 სართულზე, კარგი რემონტით, ტელეფონით, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან, მე-3 კვარტალში. ფასი შეთანხმებით. ტელ. 31-85-86, ციური.

დუშეთის რაიონში, სოფელ ბულაჩაურში, ტყისპირას იყიდება პრივატიზებული, გარემონტებული, ორსართულიანი ბინა, 600 კვ. მ. ფართით, პარკეტით, შემოღობილია, სინათლე გაყვანილია, აქვს მსხმოიარე ტალავერი. ფასი შეთანხმებით. ტელ. 96-66-32, ლამარა.

იყიდება კუთხის, სამოთახიანი, სუფთა ბინა, რომლის საცხოვრებელი ფართია 44 კვ. მ. სულ კი 75 კვ. მ. საერთო ფართით. ბინა ჩეხური პროექტისაა. აქვს მიშენებული კარკასი 50 კვ. მ. ფართით, არის ტელეფონი, სარდაფი, საკუჭნაო. ბინა არის მე-9 სართულზე დაშენების პერსპექტივით. მისამართი: ანტონოვსკაიას ქ. №9, მეტრო დელისთან. საწყისი ფასი 44 ათასი ლარი. ტელ. 39-37-19.

ვყიდი ოროთახიან ბინას ვაკეში 40 კვ. მ. მიშენებით. მისამართი: წყნეთის ქ. 3, პირველი სადარბაზო, მე-3 სართული, ფასი 25 ათასი დოლარი. ტელ. 23-03-17, დარეჯანი.

სს „მრეწვრკინიგზის" დირექცია,
მეთვალყურეთა საბჭო და
პროფკავშირისკომიტეტი
ულოცავთ
არველოდ აკაკის ძე
თოფურიას
დაბადების 70 წლისთავს. უსურვებთ
მას სისცოცხლეს მრავალჟამიერ!

ვყიდი 700 კვ. მ. სამოსახლო ნაკვეთს ზაზიაშვილის (ყოფილი მონტინის) ქუჩაზე, საიდანაც კარგად მოჩანს თბილისის ხედი. ტელ. 37-31-14, თემური.

იყიდება სახლი მიწის ნაკვეთით 400 კვ. მ. საბურთალოზე, საირმის ქუჩის დასაწყისში. ცნობებისათვის დარეკეთ 38-30-25.

ვაქირავებ, ვცვლი ან ვყიდი ბინას რუსთაველის მეტროდან სამი წუთის სავალზე, 1 ოთახს 24 კვ. მ. +12 კვ. მ. სათავსოებით, ანტრესოლებით. მსურველებმა დარეკონ 24 VIII შაბათს 2 საათიდან 3 საათამდე, ტელეფონი 98-75-94, ნათია.

ქირავდება ერთოთახიანი, იზოლირებული, ტელეფონიანი ბინა, საბურთალოს რაიონში, მიცკევიჩის ქუჩაზე, დარეკეთ 38-68-02.

იყიდება ერთოთახიანი ბინა ტელეფონით და ავეჯით 8 სართულიანი სახლის მე-3 სართულზე. ვყიდი აგრეთვე ერთოთახიან ბინას ლოჯიითა და საგარაჟე ადგილით რვასართულიანის ბელეტაჟზე (პირველი სართული) ორთავე ბინა კინოთეატრ „საქართველოსთან" არის. ტელეფონი 61-85-60. მერაბი. ფასი შეთანხმებით. შესაძლებელია ორთავე ბინის გაცვლა სამოთახზე იმავე რაიონში.

იყიდება ოთხოთახიანი და ერთოთახიანი ბინები 16 სართულიანი სახლის მე-16 და მე-17 სართულებზე. ოთხი ოთახის ფართი 110 კვ. მ. ყველა ოთახი იზოლირებულია, აქვს სველი წერტილი, აბაზანა, ტუალეტი და სამზარეულო კაფელით არის მოპირკეთებული. სამზარეულო 12 კვ.მ. საშრობი ექვსი კვ. მ. ჩაყენებულია კარადები, აქვს ორი აივანი, სარდაფი, კაპიტალური ავტოფარეხი. ერთი ოთახი ამ ბინის თავზეა. მისი ფართი 40 კვ. მ. ჭერის სიმაღლე 5 მეტრი. მუდმივად მუშაობს 4 ლიფტი. ბინა გადაჰყურებს ბავშვთა ქალაქ მზიურს. საწყისი ფასი 35 ათასი დოლარის შესაბამისი თანხა ლარებში. ტელეფონი 36-11-66 საღამოს; 93-89-53 დილით.

ავტომანქანები



ორგანიზაცია ყიდის 1990 წელს გამოშვებულ, კარგად მოვლილ „ვაზ-2121" („ნივა") მარკის ავტომანქანას ხელმისაწვდომ ფასში.
დარეკეთ: 93-26-99; 99-03-09.

იყიდება ექსპლუატაციაში მყოფი ტექნიკურად გამართული, გაზ-51 მარკის სატვირთო ავტომანქანა. გთხოვთ დარეკოთ ტელ. 22-46-20. 17.00 — 22. 00-მდე.

იყიდება 1980 წელს გამოშვებული ავტომანქანა გაზ- 24 „ვოლგა" ძალიან კარგ მდგომარეობაში. მანქანას გავლილი აქვს 47000 კმ. აქვს სრულიად ახალი დიზელის გერმანული ექსპერიმენტული ძრავი, წვავს 6 ლიტრა დიზელის საწვავს 100 კმ-ზე. ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ: 78-32-00.

იყიდება სასწრაფოდ ბენზინმზიდი „ზილ-130", სრული ტევადობაა 6200 ლიტრი. გამართული მანქანაა. საწყისი ფასი 2700 დოლარი. დარეკეთ 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება სამგზავრო ავტომანქანა „ერაზი" 17-ადგილიანი, გამოშვებულია 1991 წელს. საწყისი ფასია 1400 დოლარი. ტელ: 34-36-29. ნოდარი ან გურამი.

იყიდება ვაზ — 21011 ჟიგულის მარკის ავტომანქანა 1975 წლის გამოშვება, თეთრი ფერის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 71-52-96, იკითხეთ სერგო.

იყიდება თეთრი ფერის ავტომანქანა „ვაზ — 21-011", 1975 წლის გამოშვება. მანქანა მუშა მდგომარეობაშია. ფასი 1200 ლარი. ტელ. 71-52-96.

იყიდება ავტომანქანა „მერსედეს-200", დიზელი, 1976 წლის გამოშვება, ფასი — 800 ლარი.
ტელეფონი 22-16-31.

სხვადასხვა

იყიდება გაზიანი წყლების ჩამოსასხმელი ხელის ტირაჟი, სატურატორი და სამაცივრო დანადგარი „იფ-56". სამივეს ფასი ერთად 1300 ლარი, ტელ: 93-47-96, 39-61-87 ირაკლი.

იყიდება ქართული პურის საცხობი დანადგარი, რომლის წარმადობაა საათში 100 პური. ს წყისი ფასი 1000 დოლარი. დ მირეკეთ 38-29-54.

ვყიდი 200-ლიტრიან რკინის კ სრებს, 200-ლიტრიან პლასტმას კასრებს თავისი საკეტებით, 100-ლ ტრიან პლასტმასის ბიტონებ გვაქვს აგრეთვე არმატურა, შვე რები და რკინის მილები. ტელ: 95-23-51. მერი.

იყიდება ორი რკინის ასაწყობი ღ ხლი 2 მ და 80 სმ 1 მეტრზე. ფას 80 ლარი. ტელ: 98-95-02. ლია.

იყიდება გერმანული, ნახევრად აკუსტიკური ელექტროგიტარა. ფ სი შეთანხმებით: ტელ: 98-95-02 იკითხეთ ლია. იყიდება ღვინის ქრ ქარხანა სოფელ კაჭრეთში, ცნობ სათვის დარეკეთ: 30-45-85, მიშა ბ რჯანაძე.

ვყიდი რუსეთში გამოშვებულ მაცივარს „კოდრო". ნახმარია, მ გრამ კარგ მდგომარეობაშია. ფას 250 ლარი. აქვე იყიდება ხელ საკერავი მანქანა „ზინგერი", რო მელიც 250 ლარი ღირს. ტელ 3:-73-33, ლია.

ვყიდი მარმარილოს დასადგმე ლით ანტიკვარულ სარკეს. ფ სი 1000 ლარი. ტელ. 31-85-86, ციური.

იყიდება ექვსი ცალი შეფუთულ ჩეხური ხის თარო. თითოს ღი რებულება 35 ლარია. იყიდება აგ რეთვე ორი ცალი რუმინული ხის საწოლი, რომლებიც შეფუთულია. თითოს ფასი 250 ლარი. ტელ: 36-46-47 ან 23-41-02.

ვაქირავებთ 150 კვ. მ. ფართის გა რაჟს სვანეთის უბანში. შრომის ქ. №46. ტელ. 96-19-91 ან 96-89-98, იკითხეთ შოთა, მაქვს აგრეთვე ღვი ნის ორი ექვსტონიანი, ერთი რვა ტონიანი ცისტერნები. ფასი შეთან ხმებით. ტელ. 96-19-91.

ვყიდი რკინის კუთხოვანას 45 X 45 X 5. სულ 240 გრძივი მეტრი. ფ სი შეთანხმებით. ტელ. 34-65-24.

ყიდვა-გაყიდვის, გა
ცვლის, გაქირავების შე
სახებ განცხადებების გა
მოქვეყნების მსურველე
ბმა დაგვირეკეთ:
ტელ: 99-73-24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანატოლი სობჩაკი

თბილისის ქამთეხილი, ანუ 1989 წლის სისხლიანი კვირა

ნავლა რა მის ხელთ არსებული ყველა მენტური მასალა, კომისიამ გამოიტანა მტცაკვნა, რომ არავითარი დამაჯერებელი ფაქტები, რომლებიც ამართლებდეს მოან მომიტინგეთა გამოდევნის ოპერაციაჭოთა არმიის საპაერო-სადესანტო პოლკის ის შეყვანას, არ არსებობდა.

რალ ი.ტ. ეფიმოვის ახსნა-განმარტებით, ელის პროსპექტზე ჯარების ჯაჭვის წიაველის დროს, მთავრობის სახლის მიდამოებში ექტის გაფართოების გამო ვითომდა გაღდა მარცხენა ფლანგი, რამაც ი.ტ. ეფიმოვის ო, შექმნა რეალური საფრთხე არა მარტო ინგეთა შეღწევისა სამხედრო მოსამსახუზურგში, არამედ მათი ალყაში მოქცევი-

ლევის ალმოსაფხვრელად გენერალ ი.ტ. ის თხოვნით გენერალმა ი.ნ. როდიონოვმა ყო მედესანტეთა ასეული და ამით შესაელი გახადა საბჭოთა არმიის სამხედრო მსახურეთა ჩათრევა მისთვის არადამახაებელი ფუნქციების შესრულებაში, რითაც ე დაარღვია გენერალური შტაბის დირე, რომლითაც არმიის ქვედანაყოფებს ეკიდათ მხოლოდ საგანგებოდ გამოყოფილი ქტების დაცვის ამოცანები. კომისიის აზრით, ტუაციაში მომიტინგეთა გამოდევნის ოპეის ჩაშლის რეალური საფრთხე არ არსედა, ისევე, როგორც არ იყო საჭირო მედეთა ასეულის მიშველიება.

21-სათვის მთავრობის სახლის წინამდებაედნის გაწმენდა დამთავრებული იყო, მეტომსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონი რთდა მოტომსროლელი პოლკის მე-4 ბაონს, რომელიც განაგრძობდა მომიტინგეთა დევნას.

პერაციის ამ ეტაპზე შინაგანმა ჯარებმა, სძენ რა რუსთაველის პროსპექტზე შევიწული მიტინგის მონაწილეების აქტიურ წიდეგობას, არაერთგზის გამოიყენეს სპეცალება „ჩერიომუხა".

სპუბლიკის მოედანთან მიახლოებისას ველი ტროლეიბუსებითა და ავტობუსებით ჩახერგილი) მზარდი წინააღმდეგობის გაპოდპოლკოვნიკმა ა.მ. ბაკლანოვმა თვითრად გასცა ბრძანება ეხმარათ არასატაბელო რმი კ-51, რომელიც მომწავლელ ნივთიე სი-ესს შეიცავს. გამოიყენეს ოთხი ხელარა, რომელთაგან ერთი ზრ აფეთქდა.

ნსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პოდპოლნიკ ა.მ. ბაკლანოვის გადაწყვეტილება, როაც თვითნებურად მისცა უფლება ხელქვებს გამოეყენებინათ ნაწარმი კ-51 და შემდეგ ლა ამ ნაწარმის გამოყენების ფაქტი.

გამოდევნის ოპერაციის დამთავრების სტაზე ადგილი ჰქონდა მიტინგის ერთ-ერთი მოილის ცეცხლსასროლი იარაღით თავში დას ფაქტს.

მისია აღნიშნავს, რომ სპეცსაშუალებათა ყენება მე-4 მოტომსროლელმა პოლკმა გაორციელა მოქმედი დარიგების დარღვევით სსრკ შსს 1970 წ. № 0507 ბრძანების № 1 რთი). სპეცსაშუალებათა გამოყენების პილი მიჯნიდან რუსთაველის პროსპექტის ომდე არის საცხოვრებელი სახლები უმრო „თბილისიდან" დაწყებული). დარის III კარის 23 პუნქტში ლაპარაკია მშვიიანი მოსახლეობის მოფრთხილებაზე სპეშუალებების გამოყენების დროს და მის ევაციაზეც კი. მაგრამ გენერალმა ი.ტ. ეფიმოუგულებელყო ეს მოთხოვნა და გასცა ბრება გამოეყენებინათ „ჩერიომუხა" საცხოველ რაიონში. იგივე ხდებოდა მომდევნო მიაზეც. არის ცნობები, რომ ცალკეული სამრო მოსამსახურენი შედიოდნენ საცხოვრებელ ებში, სადაც იყენებდნენ სპეცსაშუალება „ჩეომუხას".

მისია განსაკუთრებული შეშფოთებით აღნავს შინაგანი ჯარების ხელმძღვანელობის ბს მიაჩუმათონ მომწამვლელ ნივთიერება გამოყენების თვით ფაქტი.

პეცსაშუალება „ჩერიომუხას" გამოყენება მათ ფიციალურად აღიარეს ა.წ. 13 აპრილს, ისიც, ლობელი სამხილებლის ზეწოლით.

მდგომში მიმდინარეობდა „ჩერიომუხას" სხასხვა მოდიფიკაციისა და გაზ სი-ესის (ნაწარმი 51) გამოყენების ეტაპობრივი აღიარება.

აბჭოთა არმიის სარდლობის წარმომადგეები დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ ვევე ფეხოსანთა მცირე ბარების გამოყეის ფაქტს.

ვე უნდა აღინიშნოს, რომ მეთაურები და პომუშაკები ოპერაციაში მისაზიდი სამხედრო მსახურეების ინსტრუქტაჟის დროს ინფოაციას მიტინგის მონაწილეებისა და მათი გახვევების შესახებ აწვდიდნენ დამახინჯებუ სახით.

რიგად, მომიტინგეთა გამოდევნის ოპერა რეალური მიმდინარეობის ერთობლივი ანა უტყუარად ადასტურებს, რომ მხოლოდ, მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის, წესების, მითითებებისა და ინსტრუქციების ყოდ უხეში დანაშაულებრივი დაუდევრობის ფასი, დარღვევებისა და, მეორე მხრივ, ორზატორებისა და მიტინგის მონაწილეთა ერთი ლის მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შეგად დამთავრდა იგი ტრაგიკულად...

სებული მონაცემების ანალიზი საშუალებას ლევს განვსაზღვროთ მომიტინგეთა გამონის ოპერაციასთან დაკავშირებით სამედი დანაკარგების მასშტაბი და ხასიათი.

სამედიცინო პერსონალის მონაცემებით, დესტრაციის პირველი დაჭრილი მონაწილეე – ქალების, ყმაწვილების, მამაკაცების შელა აღინიშნა 5 წუთში „გამოდევნის ძალენ მოსახლეობის შეხების" დაწყების მომენან. შემდგომ 5 წუთში ტრავმირებულთა სვლას მასობრივი ხასიათი მიენიჭა. მოვბათა ბევრმა მონაწილემ – სამოქალაქო პიმა, მილიციის მუშაკებმა და სამხედრო მოახურეებმა – მიიღეს სხვადასხვა ხასიათიდა სიმძიმის დაზიანება. ტრაგიკული შედეს იყო, რომ მიტინგის 16 მონაწილე დაი შემთხვევის ადგილზე, ხოლო სამნი ცონის შემდეგ გარდაიცვალნენ საავადმყოფოში. დრო მოსამსახურეთა და მილიციის მუშაკთა პვის შემთხვევები არ ყოფილა.

გორც დემონსტრანტთა, ისე სამხედრო მოახურეთა და მილიციის მუშაკთა მხრივ დალებულთა რიცხვის ზუსტი განსაზღვრა გაულ სიძნელეებს აწყდება, ამასთანავე კოას აქვს საკმარისი მასალა იმისათვის, რომ ანად დაახასიათოს 9 აპრილის ამბების სამენო შედეგები.

ქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს ცემებით, გამოდევნის ოპერაციის დროს და მას შემდეგ რამდენიმე საათის განმავლობაში ქ. თბილისის საავადმყოფოში მოხვდა 251 კაცი, მათგან 183 ჰოსპიტალიზებულ იქნა. მომდევნო დღეებში ადგილი ჰქონდა სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვის რიცხვის ტალღისებურ ზრდას (13,21,27 აპრილს და 5 მაისს). მთლიანად 9 აპრილიდან 9 მაისამდე პერიოდში სამკურნალო დაწესებულებებში მიმართვების საერთო რიცხვმა შეადგინა 3-დან 4 ათასამდე კაცი. სულ ჰოსპიტალიზებულ იქნა დაახლოებით 500 და ამჟამად დისპანსერულ აღრიცხვაზეა აყვანილი და მკურნალობას გადის 1000-მდე კაცი.

მოვლენების დროს ტრავმირებულ იქნა, საქართველოს სსრ შსს მონაცემებით, ქ. თბილისის მილიციის 37 მუშაკი. მათგან 22-მა ტრავმები მიიღო სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედების შედეგად. სსრ კავშირის შსს მონაცემებით, ტრავმირებულ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვმა შეადგინა 696, ხოლო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს კომისიის ანგარიშში მოყვანილია მონაცემები, რომ სულ ტრავმირებული იყო 152 სამხედრო მოსამსახურე (132 – შინაგანი ჯარი, 20 – საბჭოთა არმია), მათგან 26 კაცი ჰოსპიტალიზებულია (22 – შინაგანი ჯარი, 4 – საბჭოთა არმია). სსრ კავშირის პროკურატურის მონაცემებით, ამ მოვლენებში დაზარალდა 189 სამხედრო მოსამსახურე.

კომისიამ დაადგინა, რომ საბჭოთა არმიის 20 სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც თავდაცვის სამინისტროს კომისიის ანგარიშში არიან მოხსენიებულნი, ფაქტობრივად განსახილველი მოვლენების დროს ტრავმა მიიღო მხოლოდ სამმა მოსამსახურემ.

9 აპრილის ამბების მონაწილეთა ჯანმრთელობის ზიანი გამოიხატებოდა როგორც ტრავმების, მომწამვლელი ნივთიერებებით ან მათი კომბინაციებით მოწამვლის სახით, ისე „მასობრივი კატასტროფის სინდრომის" ტიპის მრავალფეროვანი ფსიქიკურ-ემოციური აშლილობით.

მიტინგის მონაწილეებს შორის ტრავმირებულთა რიცხვი შეადგენდა 290 კაცს: დაჟეჟილობა – 40 პროცენტი, დახურული ტრავმები – 30 პროცენტი, ჭრილობები – 20 პროცენტი, სხვადასხვა ხასიათის მოტეხილობა – 10 პროცენტი.

ავადმყოფობის ისტორიების შერჩევითი ანალიზისა და დაზარალებულთა ნაწილის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ტრავმების უმრავლესობა (მათ შორის თავის ტრავმებისა) მიყენებული იყო რეზინის ხელკეტებით, ხოლო 21 შემთხვევაში – ჭრილობები დაკავშირებული იყო ქვეითი ჯარისკაცის მცირე ბარის ხმარებასთან. პირებს მძიმე დაზიანებებით ხშირად აღენიშნებოდათ აგრეთვე მომწამვლელი ნივთიერებებით მოწამვლა (კომბინირებული დაზიანებანი).

ეგრეთ წოდებული „პოლიციური მწ"-ის გამოყენების გამოცდილება როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ გვიჩვენებს, რომ ამ ნივთიერებათა გამოყენებას დადგენილი წესების ფარგლებში არ მოსდევს მძიმე შედეგები. მძიმე მოწამვლის შედეგები უაღრესად იშვიათია, ხოლო სასიკვდილო შედეგი – უნიკალური. რაც შეეხება ქ. თბილისში გამართული მიტინგის მონაწილეთა ინტოქსიკაციის სურათს, იგი საგრძნობლად გამოირჩევა ასეთი სახის მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენების შემთხვევისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სურათისაგან.

მას ახასიათებს მასობრიობა, საშუალო და მძიმე მოწამვლების მნიშვნელოვანი რიცხვი. „ნეიროთროპული" მოქმედების ნიშნების სახით კლინიკურ გამოვლინებათა გარკვეული თავისებურებანი.

კომისიას მიაჩნია, რომ ეს შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა მთელ რიგ გარემოებათა და ფაქტორთა კომბინაციას:

1. მეტეოვითარების თავისებურებებს – მომეტებული სინოტივე და უქარო ამინდი, რაც ხელს უშლიდა გაზის ღრუბლის გაფანტვას და ქმნიდა მის მომეტებულ კონცენტრაციას.
2. მომწამვლელ ნივთიერებათა გამოყენებას ადამიანთა მჭიდრო მასაში, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა დაეტოვებინათ დასნებოვნებული ადგილი.
3. მომწამვლელი ნივთიერების გამოყენებას, თვითმხილველთა და დაზარალებულთა ჩვენებით, აეროზოლის სახით ზღვრულად ახლო მანძილიდან, რასაც შეეძლო შეექმნა მომწამვლელ ნივთიერებათა კრიზისული კონცენტრაციები.
4. მოწამვლების შეხამებას ფიზიკურ ტრავმებთან და ფსიქიკურ სტრესთან, რაც ამძიმებდა დაზიანების კლინიკურ სურათს %„ნეიროთროპულ ეფექტს").
5. ღამის პერიოდში ორგანიზმის წინააღმდეგობის კლებასთან დაკავშირებით ორგანიზმზე მომწამვლელ ნივთიერებათა ტოქსიკური მოქმედების დონის ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტობრივი მონაცემები და მოყვანილი მოსაზრებანი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად გამოირიცხოს დაზარალებულთა ნაწილის რაღაც სხვა არაიდენტიფიცირებული მომწამვლელი ნივთიერებებით მოწამვლის ალბათობა.

კომისიის მუშაობაში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო მიტინგის 19 მონაწილის დაღუპვის უშუალო მიზეზების დადგენას.

კომისიის მიერ მიღებული მასალები და ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფის დასკვნები იძლევა იმ ფაქტორთა არაერთგვაროვან განმარტებას, რომლებსაც მოჰყვა დაზარალებულთა დაღუპვა.



Схема действий при применении специального средства «Черемуха» 9.04.89

ამასთან დაკავშირებით კომისიამ მიიწვია პათოლოგიური ანატომიისა და სასამართლო მედიცინის მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც შეისწავლა მთელი არსებული მასალები და გამოიტანა დასკვნა, რომ ყველა დაღუპული პირის სიკვდილის უშუალო მიზეზი, თავის ქალა-ტვინის მძიმე ტრავმის ერთი შემთხვევის გარდა, არის გაგუდვა (ასფიქსია). სპეციალისტთა აზრით, ასფიქსიის განვითარებაში თავისი როლი შეასრულა ორმა ერთდროულად მოქმედმა ფაქტორმა – როგორც სხეულის ჭყლეტამ, ისე ქიმიურ ნივთიერებათა შესუნთქვამ, რასაც მიგვანიშნებს შესაბამისი მაკრო-და მიკროსკოპული მონაცემები. ქიმიურ ნივთიერებათა შესუნთქვისა და სხეულის ჭყლეტის შეხამება ორმხრივ აძლიერებდა მათ უარყოფითს ეფექტს და გახდა, სპეციალისტთა აზრით, დაზარალებულთა დაღუპვის მიზეზი. ორ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა დამატებითს გარემოებებსაც, თანამდევი დაავადებების არსებობის სახით.

ამასთანავე არსებული მასალების მიხედვით, შესაძლებლად არ მიგვაჩნია ზუსტად დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ ფაქტორის სიჭარბე ასფიქსიის განვითარებაში."

თავი 6

შედეგების შეჯამება – სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა

> უხეშად, ძალიან უხეშად გააყალბა თავის გამოსვლაში სობჩაკმა კომისიის ოფიციალური დასკვნები – მიუტევებლად უხეშად, მე ვიტყოდი, უღირსად. თუმცა, ეს უკვე ემოციებია.
>
> ეგორ ლიგაჩოვი.
> თბილისის საქმე. 1991 წ.

კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობა 1989 წლის დეკემბერში შეიკრიბა. ჯერ არ გაუქმებულიყო კონსტიტუციის მე-6 მუხლი სკკპ ავანგარდული როლის შესახებ. ჯერ არ გასულიყვნენ კავშირიდან ბალტიისპირეთის რესპუბლიკები, ეგორ ლიგაჩოვიც მეორე კაცი იყო ქვეყანაში ნომენკლატურული მდგომარეობის მიხედვით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჯერ არაფერი მოასწავებდა სისტემის მოახლოებულ კრახს, სისტემისა, რომელიც მონოლითში გაჩენილი ბზარების მიუხედავად, ურყევად გამოიყურებოდა.

პირველი ყრილობის ბობოქარი ბატალიების შემდეგ პარტიული ხელმძღვანელობის კონსერვატიული უმრავლესობა (გორბაჩოვის გაუბედაობითა და მერყეობით წაქეზებული) ემზადებოდა ბრძოლის გასამართავად და დაკარგული პოზიციების დასაბრუნებლად მეორე ყრილობაზე. და უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მნიშვნელოვანწილად მოახერხა – ყრილობის სამზადისიც და ყრილობის მიმდინარეობაც ნომენკლატურული უმრავლესობის უძლიერეს ზეწოლას განიცდიდა.

საგულისხმოა, რომ თუ უზენაეს საბჭოში კონსტიტუციის მე-6 მუხლის გაუქმების საკითხის მომავალი ყრილობის დღის წესრიგში შეტანას სულ 3-ოდე ხმა დააკლდა, ყრილობაზე ეს წინადადება დეპუტატთა უმრავლესობამ უარყო. დიდი გართულებები იყო აგრეთვე თბილისის ამბების გამოძიების შედეგების შესახებ ჩვენი კომისიის ანგარიშის ყრილობის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით. ლუკიანოვმა წინადადება წამოაყენა გადაგვეტანა ანგარიში მომდევნო ყრილობაზე, და მხოლოდ ჩვენმა სიმტკიცემ და კომისიის წინასწარ წარმოდგენილმა დასკვნამ უზრუნველყვეს დადებითი გადაწყვეტა.

პოლიტიკური ვითარება ყრილობის წინ საგანგაშო და სულის შემხუთველი იყო. გაზეთები წერდნენ სამხედრო გადატრიალების საფრთხის შესახებ, და დროდადრო გეჩვენებოდა, რომ საჯაროობისა და დემოკრატიის მოკრძალებული მიღწევები შეიძლებოდა დაკარგულიყო. გაჩაღდა კამპანიაც თბილისის მოვლენების გამოძიების ირგვლივ. თითქოს ყრილობაზე ამ საკითხის მომავალ განხილვას უნდათ დაასწრონო, გამოძიების მონაწილე პროკურორები და გამომძიებლები, საკანონმდებლო აკრძალვებისა და პროფესიული ეთიკის მიუხედავად, ზედიზედ გამოდიოდნენ ტელევიზიით, რადიოთი, აქვეყნებდნენ სტატიებს ჟურნალ-გაზეთებში. 13 დეკემბერს, ყრილობის მუშაობის დაწყების მეორე დღეს, „სოვეტსკაია როსიაში" გაჩნდა მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის გენერალ ვ. ვასილიევის სტატია „გამოძიებამ დაადგინა", რომელშიც ერთობ ტენდენციურად, ქართველ ექსტრემისტთა მიმართ ბრალდებებისა და საპარლამენტო კომისიის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი დასკვნების უარყოფის ცდებით არის გაშუქებული 9 აპრილის მოვლენების მიმდინარეობა, მათი მიზეზები და შედეგები, აგრეთვე გამოტანილია დასკვნა, რომ „თბილისის უსანქციო მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილება დასაბუთებული და აუცილებელი იყო". აშკარაა მისწრაფება – გაამართლონ ამ საქმეში გარეული პარტიული და სამხედრო ხელისუფალნი, როგორმე ჩამოაშორონ მათ ბრალი უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვისათვის.

შემდეგ სამხედრო გამომძიებლები პოლკოვნიკი მატუსი და პოლკოვნიკი ბაგრაევი ანალოგიური მტკიცებებით გამოვლენ ტელევიზიით. მათი სტატიები დაიბეჭდება „ვოენო-ისტორიჩესკი ჟურნალის" 1990 წლის № 1-ში.

მიმდინარეობს საზოგადოებრივი აზრის მასირებული დამუშავება. ყრილობის გახსნის დღეს ყრილობათა სასახლის ვესტიბიულსა და დარბაზში სამხედროფორმიანი დეპუტატები შემდეგი შინაარსის ფურცლებს ავრცელებდნენ:

მოითხოვეთ სიმართლე თბილისის შესახებ!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების ამხ. ამხ. დ. თ. ლოშადკინის, ა.დ. გორბოვსკის, აგრეთვე მრავალი (საბჭოთა და საერთაშორისო) კომისიის მონაცემებით თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა არც ერთ სხეულზე ნაჩხვლეტი, ნასერი, ნაჩეხი ჭრილობები არ არის!

სისხლიან ბარებს მიტმასნილი საშინელებანი – მონაჩმახია.

ვისი და რისთვის?

ცეცხლნასროლი ჭრილობები მშვიდობიან მოსახლეობას მიყენებული აქვს არა სამხედრო ნიმუშის იარაღით!

ექსპერტები კატეგორიულად უარყოფენ ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენების შედეგად ადამიანთა სიკვდილის შესაძლებლობას!

მათ მოჰყავთ იმის უცილობელი დამამტკიცებელი საბუთები, რომ:

– სპეციალურად გაწვრთნილი ბოევიკები წინააღმდეგობისათვის ემზადებოდნენ;

– მთელ რიგ წერტილებში ბოევიკებმა უკუაგდეს ჯარები და, მათივე სიტყვით, „სისხლიანი აბანო მოაწყვეს". ამრიგად, ჯარების უდანაშაულო მსხვერპლნი უწოდეს კარგად მომზადებული ბოევიკების რაზმებს! ადამიანები დაიღუპნენ არა სამხედროების ხელით! ისინი წრესგადასულმა ბრბომ გადაქელა.

მოითხოვეთ მონაცემები
მოითხოვეთ სიმართლე!

არა ზღაპრები და ინსინუაციები, არამედ ფაქტები, არგუმენტები და ზუსტი ციფრები!

რატომ არ წყდება სიცრუის ჯაჭვი,

რატომ ცრუობს ზოგიერთი დეპუტატი?

რატომ და ვინ არის დაინტერესებული, რომ მთელი პასუხისმგებლობა სამხედროებს დაბრალდეს?

რატომ გახდნენ ნაციონალიზმისა და ექსტრემიზმის სულისჩამდგმელნი გმირები?

მოითხოვეთ, ცენტრალური ტელევიზიით აჩვენონ ლენინგრადის 1989 წლის 8 დეკემბრის გადაცემა!

მოითხოვეთ ობიექტური მონაცემები, სპეციალისტთა მიერ მოწყობილი გამოძიების საყოველთაო საჯაროობა!

მოითხოვეთ ფაქტები, და არა მონაჩმახი!

მოითხოვეთ სიმართლე!

* * *

ცხადი იყო, რომ ყრილობაზე მშვიდი და საქმიანი საკითხის განხილვა არ გამოგვივიდოდა. ყველაფერი იმას მოწმობდა, რომ შეეცდებიან ჩვენი კომისიის დასკვნას ბრძოლა გამოუცხადონ და უკან წაგვაღებინონ.

თბილისის ანგარიშის დღის წესრიგში შეტანის საკითხის განხილვისას მოულოდნელად წამოიჭრა წინადადება კომისიასთან ერთად მოგვესმინა მთავარი სამხედრო პროკურორისათვის იმ გამოძიების შედეგების შესახებ, რომელსაც ამ საქმის გამო ეწეოდა სამხედრო პროკურატურა.

თავდაპირველად ეს წინადადება ერთ-ერთმა დეპუტატმა წამოაყენა უზენაეს საბჭოში ყრილობის დღის წესრიგის განხილვისას. შემდეგ იგი აღძრა ლუკიანოვმა ყრილობის მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე. მან მოულოდნელად მკითხა, რას იტყვით, ყრილობაზე მთავარი სამხედრო პროკურორი რომ გამოვიდესო? მე ვუპასუხე, რომ ვერ ვხედავ ამაში აზრს, იმიტომ რომ ყრილობამ გამოძიება დაავალა თავის კომისიას და არა პროკურატურას, და საერთოდ არის განსხვავება საპარლამენტო გამოძიებასა და ჩვეულებრივ გამოძიებას შორის. თანაც, სამხედრო პროკურატურის მოსმენა შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც საკუთარი კომისიის უნდობლობა, ეს გარდაუვალად გამოიწვევს კონფლიქტს და სიტუაციის გამწვავებას, ჩვენთვის ხომ ცნობილია სამხედრო პროკურატურის პოზიცია, რომელიც უკვე გამოქვეყნდა პრესაში. რაც შეეხება საქმის არსს, პრინციპული საწინააღმდეგო მოსაზრებები არ არის.

ჯერ კომისიამ, მერე უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა, ხოლო შემდეგ – ყრილობამაც მიიღეს გადაწყვეტილება მოესმინათ აგრეთვე მთავარი სამხედრო პროკურორის ა.თ. კატუსევის ინფორმაცია ამავე საკითხზე.

ა.თ. კატუსევის გამოსვლა არ გასცილებია მტკიცებებს მიტინგის ალკვეთის ღონისძიებათა კანონიერებისა და აუცილებლობის შესახებ, სამხედრო მოსამსახურეთა მოქმედების სისწორის შესახებ, იმის შესახებ, რომ არაფორმალურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ემზადებოდნენ ძალადობისათვის საზოგადოებრივი წესრიგის ძალების წინააღმდეგ. მთავარი სამხედრო პროკურორი საჭიროებით გამოწვეულად თვლიდა და ამართლებდა მესანგრის ბარებისა და ცრემლსადენი გაზების გამოყენებას. დასასრულ მან გამოიტანა დასკვნა, რომ „18 ადამიანის, მათ შორის, ქალების სიკვდილის მიზეზი გახდა მხოლოდ „შედახორა". ამ მტკიცებათა გარდა პროკურორის სიტყვა შეიცავდა აგრეთვე პოლიტიკურ გამოხდომებს, მაგალითად, ასეთი შინაარსისას: „უდიდეს აღშფოთებას იწვევს იმათი ძალისხმევა, ვინც დღეს ცდილობს ჩვენი გრძნობების მანიპულირებას თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის საკუთარი წამქეზებლური როლის შესანიღბად".

რა გასაკვირია, რომ პროკურორის სიტყვამ, რომელსაც ნომენკლატურისადმი „მორჩილაგრესიული" დეპუტატების უმრავლესობა ტაშით შეხვდა, საქართველოს დელეგაციის აღშფოთება გამოიწვია, რომელმაც გამოსვლის ბოლოს დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი. მას მიჰყვნენ რეგიონთაშორისო სადეპუტატო ჯგუფის წარმომადგენლები და ბალტიისპირეთისაგან წარმოგზავნილი დეპუტატები.

პროკურორის სიტყვის შემდეგ გორბაჩოვმა დაუყონებლივ გამოაცხადა შესვენება და შეხვდა საქართველოს დელეგაციას, რომელმაც განაცხადა, რომ უარს ამბობს ყრილობის მუშაობაში შემდგომ მონაწილეობაზე. გორბაჩოვმა დაუყვავა ქართველ დეპუტატებს და შეჰპირდა, რომ ამას არ იზამდნენ, ვინაიდან არსებობს ყრილობის კომისიის დასკვნა, რომელიც ობიექტურად აფასებს მომხდარ მოვლენებს, და სწორედ ეს დასკვნა, და არა სამხედრო პროკურატურის პოზიცია, დაედება საფუძვლად ყრილობის დადგენილებას.

ეს იყო ფორუმის მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და საშიში მომენტი. საქართველოს დელეგაციას ყრილობა რომ დაეტოვებინა, მას მიჰყვებოდნენ სხვებიც, ეს კი ხელს მისცემდა მხოლოდ პარტიული ხელმძღვანელობისა და გენერალიტეტის რეაქციულად განწყობილ ნაწილს.

ყრილობამ სწრაფად და უდავიდარაბოდ მიიღო დადგენილება თბილისის კომისიის მოხსენების გამო. მასში ყურადღება ეთმობოდა „სერიოზულ ხარვეზებსა და შეცდომებს, რომლებიც დაშვებულ იქნა საერთო -საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ყველა დონეზე მთავრობის სახლის წინამდებარე მოედნის უსანქციო მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილების მიღებისა და რეალიზაციის დროს, აგრეთვე შინაური კონფლიქტების გადასაწყვეტად შეიარაღებული ძალების გამოყენების წესისა და პრაქტიკის ზუსტი საკანონმდებლო რეგლამენტაციის არსებობას". ყრილობამ დაგმო 1989 წლის 9 აპრილს თბილისში გამართული დემონსტრაციის მონაწილეების წინააღმდეგ ძალადობის გამოყენება და დაავალა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს გაეგზავნა ჩვენი კომისიის წინადადებანი შესაბამისი ორგანოების განსახილველად. ყრილობამ აგრეთვე ხმა მისცა ტელევიზიის პირველი პროგრამით უშკომის ოპერატორთა მიერ გადაღებული თბილისის ამბების ამსახველი ფილმ-ქრონიკის ჩვენებას.

თარგმნა
არჩილ მანჯგალაძემ.

(გაგრძელება იქნება)

1989 წლის 9 აპრილი. მთავრობის სახლის წინ.

გრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №158-170.

გვწერენ

ზოგჯერ ათასსა ცოცხალსა, ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია!

კარგად მესმის უდანაშაულობის პრეზუმფციის მნიშვნელობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას ყველა გაზეთი ხელაღებით არღვევს. ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, როგორც დაღუპული შვილის დედამ, მეც გამოვთქვა ჩემი აზრი.

გარდაცვლილი შვილის გახსენებისას, დედა ყოველთვის მის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს. ძალიან ხშირად, სევდიანი ფიქრით ვბრუნდები წარსულში, ვავლებ თვალს დათო ბოლქვაძის ბავშვობის, ყმაწვილკაცობის დროინდელ ეპიზოდებს და მისგან წყენას, გულისტკენას ვერ ვიხსენებ. არ იყო და იმიტომ, ალბათ. სამი შვილი მყავდა. სამივე გამოურჩევლად მიყვარდა, მაგრამ დათო ის სითბო იყო, რომლითაც მყუდროდ ვიყავი. ის სინათლე იყო, რომლის წყალობით კაშკაშებდა ჩემი წუთისოფელი.

იმ ავადმოსაგონარ წლებში, როცა იმდენი იარაღი ჩხარუნებდა და ბევრი კარგი ახალგაზრდაც კი ამ იარაღით ცოდვილი გახდა, დათოს ხელი არ დაუკარებია ავტომატისთვის. თავისი პროფესიით თავგანწირვამდე მისული პროფესიული შეუვალობით აკეთებდა საქვეყნო საქმეს. როგორც ამბობდნენ, კარგად გამოსდიოდა და მეამაყებოდა ისეთი შვილი.

...ვაი, რომ ხობში სახალხოდ დახვრეტა არ აკმარეს და ის, რაც სხვათა მოქმედებაში [illegible], სიკვდილის მესამე წლისთავზე თავად დააბრალეს მისმავე მკვლელებმა — იმათ, ვისაც სამშობლოს ღალატისთვის ასამართლებენ, ვისი ხელებიც ქართველთა სისხლით არის გასვრილი.

თამილა ლომიშვილო, კობალიას „საზოგადოებრივო დამცველო“, კობალიას „პრესცენტრის ხელმძღვანელო“ და მისი „გვარდიის“ წევრო!

არ ვიცი, შვილი გყავთ თუ არა, მაგრამ ღმერთმა ნუ განგაცდევინოთ ის, რაც თქვენ და თქვენნაირებმა მე და ჩემს ოჯახს გაგვიკეთეთ. ამაზე შორს მკვლელობა არ წავა, ღმერთის არ გეშინიათ, ქალბატონო „დამცველო?“

თუმცა რას ვამბობ, თქვენ ისეთ ძალებს წარმოადგენთ ამ პროცესზე, ვისთვისაც ასეთი ცილისწამება მორალური ნორმაა და მოქმედების მეთოდი.

დათო ბოლქვაძეს უდანაშაულოდ დახვრეტა არ აკმარეთ, თქვენ, კობალიას ემისარო, ახლა კანიდან ძვრებით და უდიდეს ცოდვას იდიდებთ — ახალბედა ჟურნალისტებს შეუმოწმებელ, აბსურდამდე მისულ ბრალდებას აქვეყნებინებთ მასზე. პატიოსანი და მიუკერძოებელი ჩვენი საზოგადოება კარგად ერკვევა რა და რისთვის კეთდება. ჩემს შვილს თქვენ სახელს ვერ შეუბღალავთ. მართალი გითხრათ, კობალიას ბევრი დააკელით ამით.

კარგად მესმის რომ, სასამართლომ და მხოლოდ სასამართლომ უნდა დაადგინოს სიმართლე. ამ დროს ყველა თავისას ცდილობს, მაგრამ ქალბატონო „საზოგადოებრივო დამცველო“, ნუთუ ფიქრობთ, კობალიას დაცვა შანტაჟით, ცილისწამებითა და მოწმეთა დაშინებით არის შესაძლებელი. დათო ბოლქვაძის მკვლელი მეცოდებოდა იმ დიდი ცოდვის გამო, რომელიც მან უნდა ზიდოს ამ ქვეყანაზე და ღმერთის წინაშე. სასამართლოზე მოყვანილი შვილიშვილი ნელი დავულოცე ქობალიას — ბაბუამისის ცოდვა ამ ანგელოზზე არ გადასულიყოს-მეთქი... ეს მეცოდების გრძნობაც აღარ დამიტოვა „საზოგადოებრივმა დამცველმა“, რომელიც თავისი მოქმედებით ისეთ საქმეს უკეთებს სამართალში მიცემულს, მოსისხლეც რომ ვერ უზამს. ბრალდებულის დაცვას ჭკუა, განათლება და რაც მთავარია, პროფესიონალიზმი სჭირდება, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ. ხან ვის აწერინებთ შეკითხვებს, ხან ვის... თუ გგონიათ ვერაფერს ვხვდავთ? თქვენი კარნახით გაზეთ „რეზონანსში“ ელისო ჩაფიძემ „ჟურნალისტად წოდებული“ განგსტერი — დათო ბოლქვაძე „გააცნო“ მკითხველს. ან რა ღირსება შემატეთ გურამ გოგინაშვილის („აღდგომა“) ჟურნალისტობას? რა ცილისწამება დაბეჭდა გაზეთმა „მეოთხემ“.

„მოსწრებული“ შეკითხვა რომ დასვით, ქალბატონო „დამცველო“: რატომ მარტო „რეზონანსს“ მოსთხოვაო პასუხი დათო ბოლქვაძის დედამ? თუ სხვა გაზეთებში მამალი ზვიადისტებისა შეეშინდაო? რაო, თამილა, თქვენი პირით ამბობთ, რომ ზვიადისტები საშიში ხალხია?

გაზეთ „დრონის“ კორესპონდენტი ეკა ხოფერია ერთი თვის წინათ წინასწარმეტყველებდა, ხობელი მოწმეების ჩვენებები შეიცვლებაო!... ასეც მოხდა ხობში თქვენი „მივლინების“ შემდეგ, მართლაც ჩამოვიდა რამდენიმე დამფრთხალი მოწმე: „თუ ღოთის დახვრეტენ, თქვენ, ვინც ჩვენება მიეცით, ყველას გადაგბუგავენო“, — გაიმეორეს თქვენი მუქარა.

როგორ არ შეგეცოდათ მეორე ჯგუფის ინვალიდი, ხობელი სვეტლანა ბუსკნაძე, როცა დათო ბოლქვაძის „განგსტერობის“ დამოწმება დაავალეთ. იმ საცოდავს მისი ხელით მაინც რომ დაეწერა ეს ცილისწამება, დამაჯერებლობას ცოტას მაინც შემატებდა.

თამილა ლომიშვილო! კობალიამ 1993 წლის 28 ოქტომბერს შვილი მომიკლა. მისი დახვრეტიდან სამი წლის თავზე თქვენ ცდილობთ მისი სახელის შელახვას.

ღმერთი არ გაპატიებთ!

ლია ისიანი-ბოლქვაძე.

სცენა სპექტაკლიდან „აბესალომ და ეთერი“.

ისტორიის ფურცლები

ქართული საოპერო ხელოვნების მახარობელი!..

„აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ მსოფლიოს სცენებზე.

1919 წლის 21 თებერვალს თბილისში საოპერო სცენაზე პირველად დაიდგა ქართული კლასიკური ოპერის ფუძემდებლის ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომი და ეთერი“. მას შემდეგ ეს ოპერა, ისევე როგორც შემდგომი „დაისი“, მსოფლიო საოპერო კლასიკის ოქროს ფონდში შევიდა.

„აბესალომ და ეთერის“ შექმნას ზაქარია ფალიაშვილი საკმაოდ მოწიფულ ასაკში, 39 წლისა შეუდგა. ამ დროისათვის მას, როგორც კომპოზიტორს და როგორც დირიჟორს, მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. ქართული ხალხური პოეზიის შესანიშნავმა მცოდნემ კ. მირიანაშვილმა შესთავაზა შეექმნა ოპერა უძველესი ქართული თქმულების „ეთერიანის“ მასალებზე, თავად მან ლიბრეტო დაწერა ამ ოპერისათვის და მუშაობის დროს მჭიდროდ თანამშრომლობდა კომპოზიტორთან.

ოპერა იწერებოდა შესვენებებით შვიდ წელზე მეტი ხნის განმავლობაში — 1910-დან — 1917 წლამდე. 1913 წლის 27 აპრილს „ქართულ კლუბში“ პირველად შესრულდა ოპერის ერთი აქტი. საზოგადოებრიობა და პრესა ფართოდ გამოეხმაურა ამ მოვლენას.

1913 წლის 28 მაისს იგივე აქტი (პირველი სურათის დამატებით) მეორედ დაიდგა. აბესალომის როლში ვანო სარაჯიშვილისა და მურმანის როლში სანდრო ინაშვილის მონაწილეობით. კოლოტოვა ეთერის არიას ასრულებდა. ოპერის ნაწყვეტების დადგმა ქართული მუსიკალური კულტურის დიდ დღესასწაულად იქცა.

სცენა სპექტაკლიდან „დაისი“.

ოპერაზე მუშაობა ზაქარია ფალიაშვილმა ახალი ძალით განაგრძო. იგი ქმნიდა მას საქართველოში — წალვერსა და საგარეჯოში, აგრეთვე რიაზანის მახლობლად სოფელ მიკულიჩში. მხოლოდ 1915 წელს, როდესაც მას ერთადერთი შვილი ირაკლი გარდაეცვალა, შეწყვიტა ოპერაზე მუშაობა, მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნდა და შექმნა პარტიტურის ყველაზე შთაგონებული ნაწილი — მესამე აქტის მუსიკა. 1917 წელს ოპერა დასრულდა. შემდეგ მთელი 1918 წლის განმავლობაში იგი მუშაობდა ოპერის ორკესტრირებაზე და წლის ბოლოს წარუდგინა იგი თბილისის საოპერო თეატრის დირექციას. სპეციალურმა კომისიამ, პროფესორების ნ. ჩერეპნინის, ი. აისბერგის, ნ. ნიკოლაევის, ნ. ქართველიშვილის, ს. სტოლერმანისა და სხვათა შემადგენლობით, მაღალი შეფასება მისცა ოპერას. იმ დროისათვის უკვე ცნობილი რეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას ხელშეწყობით ოპერა მიიღეს დასადგმელად. თვით წუწუნავა იყო პირველი მისი რეჟისორი. აბესალომის პარტიას ზაქარია ფალიაშვილი წერდა ვანო სარაჯიშვილის არტისტული ნიჭის გათვალისწინებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მთელი რიგი მიზეზების გამო ვანო სარაჯიშვილმა „აბესალომ და ეთერის“ პირველ და რამდენიმე შემდგომ სპექტაკლში ვერ მიიღო მონაწილეობა.

ოპერა პირველად დადგეს თეატრის მსახიობთა საუკეთესო ძალებით. აბესალომის პარტიას ასრულებდა ზ. ზალიპსკი, ეთერისას — ო. ბახუტაშვილი-შულგინა, მურმანისას — ს. ინაშვილი, აბიოს — გ. ქურხული, თანდარუხისას — ა. ჭუმბურიძე სპექტაკლს დირიჟორობდა თავად ზ. ფალიაშვილი. ოპერის დადგმა ქართული მუსიკალური კულტურის ნამდვილ ზეიმად იქცა.

პირველი დადგმის შემდეგ ოპერა არაერთგზის განახლებულა. 1924 წელს იგი დადგეს კ. მარჯანიშვილმა და დირიჟორმა ი. ფალიაშვილმა, 1936 წელს — რეჟისორმა შ. [illegible] და დირიჟორმა [illegible], 1942 წელს — რეჟისორმა მ. კვალიაშვილმა და დირიჟორმა შ. აზმაიფარაშვილმა და ასე შემდეგ. ოთხმოციან წლებში იგი განაახლა მ. თუმანიშვილმა.

1929 წლის 18 ოქტომბერს ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დაიდგა ხარკოვის საოპერო თეატრში. უკრაინულ ენაზე
თარგმნა [illegible]
ლემ, პროფესორმა [illegible]
ნსტანტინე კაგარელმა. ს
[illegible] დადგა [illegible].
1936 წელს სპექტაკ
[illegible] მოსკოვში ქართული ხე
ნების პირველ დეკადაზე. 1
წელს რეჟისორმა ნ. სიმონ
ოპერა დადგა მოსკოვის
თეატრში. სპექტაკლს დირ
რობდა ა. მელიქ-ფაშაევი.
ტიებს ასრულებდნენ
საუკეთესო მსახიობები:
ვი, მეჟრაუპი, კრუგლიკოვა,
რობიოვი, სელივანოვი,
და სხვები. 1966 წელს
რეჟისორმა ლეო ესაკიამ
ფილმი-სპექტაკლი „აბესალომ
ეთერი“.

ოპერა დაიდგა აგრეთვე
ძის, ზაარბრიუკენის საო
თეატრების სცენებზე, ხ
თბილისის მსახიობთა შესრ
ბით იგი ნაჩვენები იყო სან
პეტერბურგის, კიევის, ერევ
ბაქოს, იალტის, ოდესისა
სხვა ქალაქების სცენებზე.

1923 წლის 19 დეკემბ
თბილისის ოპერის თეატრში
რველად დაიდგა ზაქარია ფა
შვილის მეორე ოპერა „დაის
მისი ლიბრეტო დაწერა ვ. გუ
ამ თავისივე პიესის მიხედ
ოპერის პირველი დადგმა განა
რციელა კოტე მარჯანიშვი
სპექტაკლს დირიჟორობდა ზა
რია ფალიაშვილი. მალხა
არიას ასრულებდა სარაჯიშვ
მაროსას — პოპოვა, კი
პარტიას — კრჟანოვსკი, ჯა
ლასას — ისეცკი, ტიტოსას
თუმანიშვილი. 1934 წელს ო
დადგა წუწუნავამ. მისი პირ
ლი დირიჟორი იყო გამოჩენ
ქართველი დირიჟორი ევ
მიქელაძე. როლებს ასრულებ
მარო — სოხაძე, ნაკაშიძე,
ნო — ვომაია, სტეპანიანი,
ხაზი — ქუმსიაშვილი, ყვარ
შვილი, კიაზო — მირიანაშ
ლი, გამრეკელი, ტიტო — სვა
ძე, ცანგალა — ხამაშურიძე.

თბილისის შემდეგ ეს ოპ
1938 წელს დაიდგა კიე
1941 წელს ოდესაში, 19
წელს — ერევანში და ალმა-ა
ში, 1950 წელს ნოვოსიბირ
ში, 1990 წელს ნიჟნი-ნოვ
როდში, 1996 წელს — ბაქო
თბილისის ოპერისა და ბალ
თეატრის დასმა იგი აჩვენა მ
ფლიოს მრავალ ქალაქში, მოსკ
ვით დაწყებული, პარიზითა
ნიუ-იორკით დამთავრებული.

ზაქარია ფალიაშვილის ოპე
ბი ტრიუმფულ სვლას დღე
განაგრძობენ.

რემ დავიდოვ
მერი ბაგრიაძ
საქინფორმის კ

ჩოგბანი

სენსაციური გამარჯვება

ჩემპიონთა ლიგის საპასუხო საკვალიფიკაციო მატჩებიდან აღსანიშნავია „გლაზგო რეინჯერსის“ სენსაციური გამარჯვება ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ 7:2 (პირველი შეხვედრა 3:1).

შოტლანდიელებს ამჯერადაც აკლდათ დისკვალიფიცირებული პოლ გასკოინი, მაგრამ მის გარეშეც ნაცარტუტად აქციეს მასპინძელთა დაცვა. გოლები გაიტანეს მაკკოისტმა (3), ლაუდრუპმა (2), ვან ფოსენმა, მილერმა; იანოვსკიმ და სულეიმანოვმა (პენალტით). ბრიტანელთა კარში თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზაზა რევიშვილის წაქცევისათვის დაინიშნა. ამავე დღეს ტრავმით გამოწვეული თვენახევრიანი პაუზის შემდეგ მინდორზე მურთაზ შელიაც გამოვიდა.

დღეს 18 საათსა და 30 წუთზე რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიით ჟენევიდან დაიწყება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის წილისყრის პირდაპირი რეპორტაჟი. დღესვე შევიტყობთ ევროტურნირების მორიგ ეტაპზე თბილისისა და ბათუმის დინამოელთა მეტოქეების ვინაობას.

ძლიერი ყველგან ძლიერია

ისინი ჩვენს თვალწინ წამოიზარდნენ, აქვე დაუახლოვდნენ სპორტს, პირველი წარმატებებიც სამშობლოში მოიპოვეს, დღეს კი უცხოეთის ცის ქვეშ განაგრძობენ წვრთნას და უმეტესობა ისევ საქართველოს სახელით ადის სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ტურნირების საპატიო კვარცხლბეკზე.

ჭაბუკ ჩოგბურთელებზე მოგახსენებთ. ცხოვრებამ, ეპოქამ დაამკვიდრა მათი დროებითი გაემიგრანტების ტენდენცია, რაც ბევრ თანამემამულეს აღელვებს. არც მათ გაემტყუნებათ, მაგრამ რას იზამ — ტალანტს ხომ დასახვეწად სათანადო პირობები სჭირდება. ისინიც მიდიან და მიდიან. გზა დაელოცოთ!

დღეს **ირაკლი ჯანუაშვილს** წარმოგიდგენთ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის პირველკურსელს. იგი სასკოლო ასაკიდანვე დაინტერესდა ჩოგბურთით და „დინამოს“ კორტებზე სულიკო თუხარელთან შეისწავლა სპორტის ამ ელიტური სახეობის ანბანი.

1989 წელს დედაქალაქის ბავშვთა ზამთრის პირველობა მოიგო, უჟგოროდში კი მეორე ადგილი დაიკავა თავის პირველ საერთაშორისო ტურნირზე. 1994 წელს ბექა სიხარულიძესთან ერთად წყვილთა თანრიგში თბილისის ჩემპიონი გახდა. არის „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობის არაერთგზის გამარჯვებული.

რამდენიმე თვეა სტუდენტთა საერთაშორისო ასოციაციის ეგიდით ირაკლი უცხო ენის სრულყოფისა და სპორტული დაოსტატების მიზნით ერთი წლით გერმანიაში გაემგზავრა. ძლიერი რომ ყველგან ძლიერია, ქართველმა ჭაბუკმა იქაც დაამტკიცა — ჩასვლისთანავე მოიგო ქალაქ შონაუში გამართული საერთაშორისო ტურნირი, თანაც ისე, რომ ოთხ წრეში ერთი სეტიც კი არ წააგო.

სპეციალისტებმა უმალ მიაქციეს ყურადღება სტუმარს და ჰაიდელბერგის პრესტიჟულ საჩოგბურთო კლუბში მიიწვიეს. ასე რომ, მის წინაშე ფართო ასპარეზი იშლება...

• • •

ზემოთ პირობები ვახსენეთ, რაც ფულსა და სპონსორებსაც გულისხმობს.

ამ ორიოდე წლის წინ ირაკლის ოჯახმა ერთ-ერთ ტურნირზე ან შეკრებაზე გასამგზავრებელი თანხისათვის დასახმარებლად შეძლებული საწარმოს თავკაცს მიმართა. იგი სახელოვანი სპორტსმენიც არის. პასუხი დამაიმედებელი მიიღეს, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა.

ასეთი ფაქტებიც ხომ არ უბიძგებენ ჩვენს ახალგაზრდებს საზღვარგარეთ განაგრძონ სპორტული კარიერა?

გია პლატონიშვილი.

ხსოვნა

ვანო მასხარაშვილი

კიდევ ერთი ნაღდი მამულიშვილი წავიდა. ვანიჩკა მასხარაშვილზე მართლა ითქმის, ქვეყანას დააკლდაო.

მთელი ცხოვრება ჭიათურაში გაატარა. სათვალიო კაცი იყო: გამოცდილი, ულალატო სამეურნეო მუშაკი, ომისა და შრომის ვეტერანი, დამსახურებული ინჟინერი, კარგი მეოჯახე და მეგობრების მოყვარული.

გამორჩეული ეშხი და ხიბლი ჰქონდა სიდარბაისლითა და გულქართულობით განთქმულს, მთელი ზემო იმერეთის მასპინძელი გახლდათ ეს უტყუარი ვაჟკაცი, ენამზე თამადა და სტუმრის პატივისცემაზე გადაგებული ადამიანი.

ყველას დამრიგებელსა და მოჭირისუფლეს ბევრი ახალგაზრდა დაუმოძღვრავს და სწორ გზაზე დაუყენებია, უშურველად უწილადებია თავისი სულიერი სიმდიდრე.

ახლობლები და მეგობრები ყოველთვის ულრმესი მოწიწებითა და სინანულით მოვიხსენიებთ მის სახელს. ნათელი დაადგეს დიდ კაცს და დიდ ქართველს — ვანიჩკა მასხარაშვილს.

მეგობრები.

სააქციო საზოგადოება
„ჯი და ჯი“
[illegible]

იაპონური წარმოების
600 წერტილიან კომპაქტურ ლაზერულ პრინტერს
OKIPAGE 4W
ფასი 790 ლარი
საზოგადოება იძლევა 6 თვიან გარანტიას
ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი
ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 4, ტელ: 93-38-34, 93-38-04

სააქციო საზოგადოება
„ჯი და ჯი“
[illegible]

საუკეთესო ტელე-ფაქსს
ყველაზე იაფად
SAMSUNG SF-30
ფასი 420 ლარი
საზოგადოება იძლევა 6 თვიან გარანტიას
ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი
ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. № 4, ტელ: 93-38-34, 93-38-04

გამოსათხოვარი

სახითა ნათლითა, პირითა მართლითა – შეურცხვენელად!..

გარდაიცვალა **მიხეილ კაკელიძე** — ჩვენი ძია მიშა — მწერალი, ისტორიკოსი, უზომო პატრიოტი დედ-სამშობლოსი, ახალგაზრდების აღმზრდელი და მეგობარი, ჟურნალისტი.

იგი ბოლომდე ერთგული დარჩა თავისი მრწამსისა: „ბილწთ არ შევეკვრი ზავითა“. ასე იცხოვრა თავიდანვე — მაღალ ზნეობას არ უღალატა, სულიერი ღირებულებანი არ დაახურდავა... უმცროს მეგობრებსაც — მასწავლებლობის პერიოდში თუ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციაში მუშაობისას — ამის მაგალითს აძლევდა.

ცხოვრების გრძელ გზაზე რას აღარ მოესწრო ძია მიშა — ადამიანთა უმადურობაც იწვნია და დევნა-გადასახლებებიც აიტანა, მაინც ბედნიერი კაცი იყო, რადგან უამრავი დამფასებელი ჰყავდა მის კაცობას, მის მწერლობას...

იყო დრო (წიგნის კითხვის დრო), როდესაც მიხეილ კაკელიძის ტრილოგიის პირველი წიგნი, — ისტორიული რომანი „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელნი“ ძალზე პოპულარული იყო ჩვენში, ინტერესით მიიღო მკითხველმა მეორე წიგნიც — „ჯვარცმული ქვეყანა“, ხოლო მესამე — „შავი ღრუბლები“ შარშან გამოვიდა (ო, რა მადლიერი იყო ნუგზარ შატაიძისა — დამეხმარა გამოცემაშიო). და, იმედი მაქვს, დადგება დრო — ამ რომანსაც მკითხველ-დამფასებელი არ მოაკლდება (მკითხველ-დამფასებელი, თორემ ქართულ სალიტერატურო კრიტიკას რატომღაც „მხედველობიდან გამორჩა“ ეს რომანები, საერთოდ მიხეილ კაკელიძის შემოქმედება).

ჩემთვის დიდი პატივი იყო თავის დროზე ერთი-ორი სიტყვა დამეწერა ამ სამაგალითო პიროვნებაზე.

იგი არ ყოფილა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი...

რაღაც უნდა დამეზუსტებინა და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიას ჩავხედე: აქაც „გამორჩენიათ“ ძია მიშა.

მე მაინც მწამს: „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიან“...

ვიცი. მის დაკრძალვაზე ახალგაზრდების სიჭარბე იქნება, რამეთუ ამ ახალგაზრდებმა იციან — ძია მიშამ იცხოვრა „სახითა ნათლითა, პირითა მართლითა — შეურცხვენელად“.

უმცროსი მეგობრებისა და კოლეგების სახელით

ვილენ მარდალეიშვილი.

• • •

სურათზე: ორი განუყრელი მეგობარი, ორი სხვადასხვა თაობის ქართველი მწერალი — მიხეილ კაკელიძე და ნუგზარ შატაიძე.

ხსოვნა

ირაკლი ჩიჩუა

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვ
ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველო
ღვაწლმოსილი მუშაკი, პერსონალური პენს
ნერი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინ
ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ირა
ვარდენის ძე ჩიჩუა.

დაიბადა 1932 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურ
პედაგოგის ოჯახში. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფ
სამეურნეო ინსტიტუტი და მიიღო ინჟინერ-მეტყევის კვალიფიკ
იმავე წელს დაიწყო მუშაობა თბილისის საავეჯო კომბინატში.
გაიარა გზა წარმოების ოსტატიდან ხე-ტყისა და ხის დამმუშ
ბელი მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილემდე. 1987 წლ
გარდაცვალებამდე მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში
შემდგომში ეკონომიკის სამინისტროს აპარატში. წლების გან
ლობაში კითხულობდა ლექციებს საქართველოს პოლიტექნიკურ ი
ტიტუტში. ირაკლი ჩიჩუას ხელმძღვანელობით დამუშავდა და და
საწარმოებში დაინერგა მრავალი ტექნოლოგიური სიახლე. იგი
მოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით, იშვიათი შრომისუნარ
ნობით და დაკისრებული საქმისადმი პრინციპული მიდგომით, მი
ბული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ღირსეული და ვალმოხდილი მამულ
შვილი.

ირაკლი ჩიჩუას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ახლობლებ
კოლეგების და მეგობრების გულში.

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო; მრეწვ
ლობის დეპარტამენტი; რესპუბლიკური გაერთია
ბა „საქტყეავეჯმრეწვი“.

სამრეწველო საინვესტიციო კორპორაცია „მსუბუქი მრეწველობ
კოლექტივი თანაუგრძნობს ცისანა ლეკიშვილს დედის
ქეთევან ლეკიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაუგრძნობს
ტონ ნიკო ლეკიშვილს, დედის
ქეთევან ლეკიშვილის
გარდაცვალების გამო.

გაზეთების „საქართველოს რესპუბლიკის“, „სამშობლო ფორტ
და „კავკასიონის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით თანაუგრძ
ზენ ბატონ ნიკო ლეკიშვილს დედის
ქეთევან ლეკიშვილის
გარდაცვალების გამო.

ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ თანამშრომლები ღრმა მწუხა
ბით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რედაქციის უხუცესი მუშ
მწერალი
მიხეილ სევერიანის ძე კაკელიძე
და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის სამგორის რაი
ნული განყოფილების კოლექტივი სამძიმარს უცხადებს დიტო გა
ნაშვილს შვილის
დაშა გათენაშვილის
გარდაცვალების გამო.

მეტეხის თეატრის კოლექტივი თანაუგრძნობს მსახიობ თ
ნაცვლიშვილს მამის
საბა ივანეს ძე ნაცვლიშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილის
მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“
სტამბაში ხოშარაულის 29.